# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 მაისი, 2008 წელი.

№ 85 (5943)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




## „საქართველო – საგარეო პოლიტიკის გარეშე“

2

## საპროტესტო აქციები მერე ნახეთ!

## ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი...



1960-70-იანი წლებიდან დაწყებული ბევრი ქართველი ებრაელი გადასახლდა როგორც ისრაელში, ისე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ მათ საქართველო არ დავიწყებიათ და დღესაც მეორე სამშობლოდ თვლიან

8-9

## ისრაელი – ახალი სახელმწიფო



## ჯანყი ევროპაში

5



## ფულის გამოძალვის ახალი მეთოდები

14

## რუსეთი ქორივით გვიმზერს!

9



10

- გამაფრთხილებელი გასროლა მოსკოვიდან?
- აფხაზეთში რუსეთის 400 მედესანტე შევიდა
- თეთრმა სახლმა დაგმო მოსკოვის მოქმედებანი საქართველოსთან დაკავშირებით



6

## მოწევენებითობა საქმეს ვერ უშველის

7



◎ ვითხოვ სიტყვას!

# საპროტესტო აქციები მერე ნახეთ!

**საქართველოში მინისტრის თანამდებობა, რაღაც შუალედურ რგოლად იქცა, გვარის დამახსოვრებას ვერ მოასწრებ, ახალი მოდის და მერე ისიც ელვის სისწრაფით უჩინარდება...**




საქართველოს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს:

ეკა ტყეშელაშვილი – ყოფილი გენერალური პროკურორი.

სიტყვამ მოიტანა და ერთი საოცარი კანონზომიერება შევამჩნიე გენპროკურატურის უმაღლეს თანამდებობას – სიმაღლეში დაქვეითება (ადამიანთა სიმაღლეზეა ლაპარაკიძ.

ეს კანონზომიერება გია მეფარიშვილით დაიწყო.

ამ ახოვანი (ფიზიკურადაც და სულიერადაცძ კაცის შემდეგ თამასა მხოლოდ ოდნავ დაიწია: ნუგზარ გაბრიჩიძე მოვიდა – ასევე ყოველმხრივ ახოვანი.

შემდეგ საქმე თხლესავით წავიდა – მართალია, სიმაღლე მაინცდამაინც არც ირაკლი ოქრუაშვილს აკლდა (თუმცა მაინც ჩამორჩებოდა წინამორბედთძ, აი, შიგთავსით კი ახლოსაც ვერ მოვიდოდა მათთან. ტყუილად კი არ უწოდეს ამ სახეზე ნიადაგ ზეთჩამომდინარ კაცს „ბოლმის ბუკეტი“ (არადა, ამ თიკუნის მოპოვება გენპროკურორად სულ რამდენიმე თვის მუშაობის პერიოდში მოასწროძ.

მის შემდეგ ტეხილი ისე დაეშვა, კინაღამ მიწა გაბურღა: ზურაბ ადეიშვილი მოვიდა ტურფასა საბაღნაროსა, კაცი მჭლე და წყლრტუ, დღის სინათლის მოშიში და უჩინარი.

მერე სიგრძე-სიგანე საერთოდ დავიწყებას მიეცა და შარვალი კაბამ შეცვალა, ოღონდ, ეკა ტყეშელაშვილი სუსტი სქესის წარმომადგენელი კია, მაგრამ სუსტიაო, ვერასდიდებით ვერ იტყვი, მარტო ენა აქვს ისეთი, ყვავს ჩამოაგდებს ხიდან.

მაგრამ თემიდის მსახურებისთვის დიდხანს ვერ გაიმეტა ნაცმოძრაობამ კადრი ესოდენ გამორჩეული და მნიშვნელოვანი – საგარეო საქმეთა მინისტრად ალაზევა.

ბარემ აქვე ვიტყვი: გენპროკურატურას კვლავ „ილინცურად“ წაუვიდა საქმე – ამბობენ, იქ ტყეშელაშვილის ფეხად გიგა ბოკერია მიდისო.

ამ ჟორს, ვითარების საღად განსჯის ბეჭედი აზის. სავარაუდოა, რომ მინისტრი ტყეშელაშვილი და მინისტრის მოადგილე ბოკერია ერთად ვერ მოძოვენ და ჩიტაძის ქუჩაზე შეიძლება კანიბალიზმის აქტიც კი შედგეს: ან ეკა შეჭამს გიგას, ან გიგა შეახრამუნებს ეკას.

ამრიგად, საქართველოს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს.

და აქ იმავე საქართველოს ყოვლად უნდო ინტრიგანი ელექტორატი სვამს თავსატეხ კითხვას: რა ნიშნის მიხედვით, რა გამორჩეული დიპლომატიური ნიჭიერებისა გამო შეირჩა ეკა ტყეშელაშვილი საგარეო უწყების ხელმძღვანელად, მით უფრო, ამ უაღრესად რთულ (საქართველოსათვისძ პერიოდში?

აი, გუშინაც, სახელმწიფო კანცელარიასთან ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებმა გამართეს საპროტესტო აქცია ქალბატონ ეკას ამ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.

საპროტესტო აქციები მერე ნახეთ, ლავროვთან და სხვა მისთანა ურჯუკებთან რომ მოუწევს შეხმა.

მერე ნახეთ ბუზღუნი, ის ქვეყანა, საგარეო საქმეთა მინისტრად უკეთესის შერჩევა რომ არ შეუძლია, მართლა დასაქცევიაო.

მე პირადად, პირიქით, პირველივე შეხვედრიდან გამარჯვებით დაბრუნებული მინდა ვიხილო ქალბატონი ეკა.

მაგრამ ჩემი სურვილი ნიშნავს რამეს?

**სანდრო ალექსიძე**

◎ აქცია

# „საქართველო – საგარეო პოლიტიკის გარეშე“

**ასეთი დევიზით ჩაატარეს გუშინ, 7 მაისს ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებმა სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია, სადაც გააპროტესტეს ეკატერინე ტყეშელაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა.**

ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, ეკა ტყეშელაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა აშკარად ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა განიცდის საჭირო პოლიტიკურ კონცეფციათა დეფიციტს, ამ ფონზე კი ეჭვქვეშ დგება ყველა იმ საერთაშორისო მიმართულების პერსპექტიულობა, რასაც არსებული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა გულისხმობს თავის თავში. ხისტი და უკან დახევას მიუჩვეველი ტყეშელაშვილის გამინისტრების ლოგიკური შედეგი იქნება ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტისა და პრესტიჟის მკვეთრი დაცემა საერთაშორისო მასშტაბით“, – თქვა ზაზა გაბუნიამ.

დასასრულს აქციის მონაწილეებმა სახელმწიფო კანცელარიის შენობაში შეიტანეს „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატების მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი.

**მურად ალაშვილი,
ავტორის ფოტო.**



◎ ცვლა

## რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**დიმიტრი მედვედევმა ცერემონია კრემლის ანდრეევსკის დარბაზში ფიცი დადო და რუსეთის ფედერაციის რიგით მესამე პრეზიდენტი გახდა.**

მედვედევის ფიცი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ვალერი ზორკინმა მიიღო.



საპრეზიდენტო ძალაუფლებასთან ერთად, მედვედევმა ე.წ. ბირთვული ჩემოდანიც ჩაიბარა, რომელშიც რუსეთის ბირთვული არსენალის მოქმედებაში მოყვანისთვის საჭირო კოდებია შენახული.

რუსეთის რიგით მესამე პრეზიდენტის ინაუგურაცია კრემლის სამ დიდ დარბაზში ერთდროულად გაიმართა.

კონსტიტუციის მიხედვით, დიმიტრი მედვედევმა მთავრობა უნდა დაითხოვოს, რის შემდეგაც ის სახელმწიფო დუმაში პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვლადიმერ პუტინის კანდიდატურას წარადგენს დუმა პუტინის კანდიდატურას პრემიერის პოსტზე უკვე დღეს განიხილავს.

## არ მიიწვიეს და როგორ დაესწრებოდნენ

**რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ინაუგურაციას საქართველოს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ დაესწრო.**

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნის დელეგაციები, ინაუგურაციაზე მიწვეულები არ არიან.

რუსეთის ხელისუფლებას ინაუგურაციაზე სხვა ქვეყნის მაღალი რანგის დელეგაციების მიწვევის პრაქტიკა არ აქვს, – განმარტეს საგარეო უწყებაში.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია



## ბუშის ადმინისტრაცია თხოვნაზე გადავიდა

**ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია რუსეთს სთხოვს, შეცვალოს საქართველოსთან დაკავშირებული რიგი გადაწყვეტილებები, – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა.**

საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, მაკკორმაკმა აღნიშნა, რომ აშშ-ში არავის სურს საქართველოს და რუსეთს შორის ვითარების ესკალაციის მოწმე გახდეს. ამერიკელმა დიპლომატმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ბოლო კვირების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები რეგიონისათვის სასიკეთო არ იყო. შესაბამისად, ბუშის ადმინისტრაციამ სთხოვა რუსეთს, გადახედოს აღნიშნულ საკითხს და შეცვალოს მთელი რიგი გადაწყვეტილებები და განცხადებები, რომლებსაც იგი გასული კვირების განმავლობაში აკეთებდა.

ამასთან, მან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აშშ-ს სახელით "ურყევი მხარდაჭერა" გამოუცხადა.

## რუსეთის სამეთვალყურეო პუნქტები აფხაზეთში

**რუსეთის დამატებითი სამშვიდობო ძალები აფხაზეთში, სოფელ აკამარასა და არასაძიხთან ორ სამეთვალყურეო პუნქტს, საბაზო ბანაკსა და საბრძოლო მანქანების საველე პარკს აწყობენ.**

ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, „პირადი შემადგენლობის მიერ შესრულებულია გეგმური დავალებები. მათ შორის, მოქმედების დამუშავება სამხედრო გათვლებთან შესაბამისობაში, ასევე სამშვიდობო მისიაში დაზვერვის ჩართვის თავისებურებები“.



## ევროკავშირის „ტროიკა“ ჩამოვა

**„ტროიკის“ შემადგენლობაში არიან ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის – სლოვენიის, მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთისა და ევროკომისიის წარმომადგენლები პოლიტიკური დირექტორების დონეზე.**

თბილისში ასევე ჩამოვა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები.

**ინტერპრესნიუსი**

პოზიცია

***„— და მე დამიძახეს, როგორც ბიზნესმენს. ამ ხნის განმავლობაში — დეპუტატობის დროსაც და არადეპუტატობის დროსაც — ყოველთვის ვითვლებოდი პოლიტიკურ მოღვაწედ და ამ დროს ყოველთვის ვეწეოდი ბიზნეს-საქმიანობას. და მე ვარ კიდეც ბიზნესმენი — სულით ბიზნესმენი,— ეს სიტყვები ხობის რაიონში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გოდერძი ბუკიას ეკუთვნის, რომელიც მან გულწრფელად გაუმხილა თავის ამომრჩეველს, თუმცა ეს გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული „გულწრფელობა", შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს.***

# კახა კუკავა: თუ არა ხარ დეპუტატი, ვერ იქნები ბიზნესმენი



გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხობის ტელევიზიით გავრცელებული ეს ვიდეომასალა იმისთვის გამოიყენა, რომ ბრიფინგი მოეწყო, სადაც **კახა კუკავამ** დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის საკითხი დააყენა.

კახა კუკავამ რამდენიმე დღის წინათ სკანდალური მასალა წარმოადგინა, სადაც ცაგერის რაიონში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გიორგობიანი ამომრჩევლის ზეწოლასა და დაშინების ცდაში დაადანაშაულა და თავი რეგისტრაციიდან მოახსნევინა კიდეც.

გიორგობიანზე გვქონდა აუდიომასალა, ახლა ვიდეო გიჩვენეთ, მომავალში, ალბათ, „ლაივი" იქნება, — დასძინა კახა კუკავამ.

ვიდეომასალაში ჩანს, თუ როგორ ესწრება ბუკიას ამომრჩევლებთან შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია და მოუწოდებს მათ, ხმა მისცენ კანდიდატს. „და ყველაზე სასიამოვნოა ის, როდესაც მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატი, ისევ ხდება დეპუტატობის კანდიდატად. ეს არის გამონაკლისი, იმ დეპუტატებთაგან, რომლებიც ხელისუფლებამ და პარტიამ შეარჩიეს... მმართველმა პარტიამ ის ამ რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად შეარჩია, რადგანაც ვერავინ იტყვის, რომ გოდერძი ბუკიას დეპუტატობა თავისი ჯიბისთვის უნდაო", — ასეთი სიტყვებით წარუდგინა გუბერნატორმა აუდიტორიას კანდიდატი.

კახა კუკავას კითხვით მივმართეთ, რაზეც გვიპასუხა:

— თქვენ იხილეთ ვიდეომასალა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლს ეწინააღმდეგება: „პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში და ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას". ხოლო პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად: „პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას".

რაც შეეხება საარჩევნო კანონის 73-ე მუხლს, სამეგრელოს გუბერნატორი უნდა დაჯარიმდეს 2000 ლარით.

**— გოდერძი ბუკია, იქნებ შეცდომით, სხვა კონტექსტში ამბობს ამას...**

— რატომ შეცდომით, მან აღიარა, რომ არის ბიზნესმენი და ძალით შეიყვანეს პარლამენტში, ამბობს კიდეც, ვითომ პოლიტიკოსი ვარო...

**— ადრეც ძალით მოიყვანეს ხელისუფლებაში?**

— როგორც ვიცი, მას თავისი ბიზნესის 80 პროცენტი რუსეთში აქვს, დანარჩენი — საქართველოში... ჩვენთან, შევარდნაძისა და სააკაშვილის გაგებით, მაჟორიტარი დეპუტატი არის ბიზნესმენი, რომელსაც სჭირდება „კრიშა". თუ არა ხარ დეპუტატი, ვერ იქნები ბიზნესმენი. იმიტომ, რომ მას ხელისუფლება არ გაახარებს. ამიტომ ბიზნესმენს შეიძლება დეპუტატობა პოლიტიკური კარიერისთვის არ სჭირდებოდეს, მაგრამ აუცილებელია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ბიზნესი. დარწმუნებული ვარ, ბუკიასაც დეპუტატობა თავისი სურვილით არ ენდომებოდა...

იმედია, ამ ვიდეომასალის შემდეგ ნაციონალური მოძრაობა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ყოველგვარი საარჩევნო დავებისა და რთული იურიდიული პროცედურების გარეშე, რათა არც ერთ სხვა დეპუტატს სურვილი არ გაუჩნდა, საარჩევნო კამპანია ჩაატაროს გუბერნატორების, გამგებლების, პოლიციის მუშაკების თანხლებით.

— ამ მეთოდით დემოკრატიული არჩევნები ვერ ჩატარდება, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მემარჯვენე **მანანა ნაჭყებიამ,** — ამ ფაქტს ორი მხარე აქვს. პირველი ის, რომ მოქმედ დეპუტატს ბუკიას ბიზნესი აქვს. ანალოგიური ფაქტის გამო კი გვახსოვს, როგორ გააძევეს პარლამენტიდან ვალერი გელაშვილი.

მეორე ის, რომ სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსის დარღვევაა, როდესაც გუბერნატორი დაჰყვება კანდიდატს და ამომრჩეველს მოუწოდებს, ხმა მისცეს მას. პრეზიდენტმა თქვა, ეს არ არის აკრძალულიო, მაგრამ დაშვებულია მხოლოდ არასამუშაო საათებში. ვიდეომასალაში ჩანს, რომ ეს ხდება დღე, სწორედ სამუშაო საათში...

ჩვენ პრეზიდენტისგან არაერთხელ მოვისმინეთ, ამ არჩევნების დემოკრატიულად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარება წყვეტს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხსო. არადა, ხდება პირიქით. ამიტომ ნაციონალურ მოძრაობას მოვუწოდებთ: **„საქმე ლაპარაკის ნაცვლად!"**

თეა მოსია

ინფორმაცია

## სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები — თურქეთში

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დელეგაცია ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობით თურქეთში გაემგზავრა.**

**სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის ცნობით, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ თურქეთის შს მინისტრთან, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლებთან, თურქეთის სანაპირო დაცვის სამსახურის უფროსთან, ვიცე-ადმირალ ჯან ერენოღლუსთან.**

**ვიზიტი „თურქეთის შეიარაღებულ ძალებსა და სასაზღვრო პოლიციას შორის ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე ხორციელდება. შეხვედრები ყოველწლიურად როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში იმართება.**

ინტერპრესნიუსი

## ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შეემატა

**ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით გვრიტიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებული არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ლუიზა გვრიტიშვილმა გადასცა.**

**არქივი მოიცავს დოკუმენტებს, ფოტოსურათებს და ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.**

**აღნიშნული მასალა წარმოადგენს წყაროს, როგორც დავით გვრიტიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული საისტორიო აზროვნების შესწავლის თვალსაზრისით.**

**სათანადო დამუშავების შემდეგ შედგება მასალების აღწერილობა და ის ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## გარდაიცვალა პარლამენტის წევრი

**ზუგდიდში 62 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი გრიგოლ ქობალია.**

**ის საქართველოს პარლამენტში მმართველი პარტიის სიით იყო გასული.**

არჩევნების წინ

# ოპოზიციურად განწყობილ პედაგოგებს სკოლიდან ითხოვენ

**სახალხო დამცველი საარჩევნო კამპანიის დროს ჭიათურის რაიონის სოფელ გეზრულის საშუალო სკოლის დირექტორზე პოლიტიკური ზეწოლის აღკვეთას კატეგორიულად მოითხოვს.**

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, მიმდინარე წლის 18 აპრილს სახალხო დამცველს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზრულის საჯარო სკოლის თანამშრომლებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს.

მათი განმარტებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამავე სკოლის დირექტორზე გოჩა შეყილაძეზე ზეწოლა ხორციელდება. სკოლის დირექტორისგან ოპოზიციის მხარდამჭერი პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ. გოჩა შეყილაძემ აღნიშნული მითითება არ შეასრულა და სკოლის სამეურვეო საბჭოს თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადებით მიმართა.

2008 წლის 2 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სოფელ გეზრულში, სადაც სკოლის ყოფილ დირექტორს გოჩა შეყილაძეს გაესაუბრნენ. მისი განმარტებით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს სოფელ გეზრულიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა შეყილაძისა და სოფელ გეზრულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულის ზვიად გელაშვილის მხრიდან ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნულ სოფელში ხმების 65 პროცენტი მიიღო, რამაც ზვიად გელაშვილისა და კობა შეყილაძის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ეწვივნენ გეზრულის საჯარო სკოლას და გოჩა შეყილაძეს ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხარდაჭერისთვის, შვიდ თანამშრომელთან ერთად, სკოლის დატოვება მოსთხოვეს.

2008 წლის 7 აპრილს გოჩა შეყილაძე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაიბარეს, სადაც რესურსცენტრის უფროსმა ნუგზარ მიროტაძემ თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების ნებაყოფლობით დაწერა ურჩია.

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, რესურსცენტრის უფროსმა საკრებულოს წევრისა და სოფელ გეზრულში გამგებლის რწმუნებულის მოთხოვნა დააკმაყოფილა და, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სოფლის სკოლის კოლექტივს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ნოდარ შეყილაძე წარუდგინა. ნოდარ შეყილაძისთვის აღნიშნული მოვალეობის დაკისრების ფაქტს პროტესტით შეხვდა კოლექტივი. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სასწავლო პროცესი ჩაშალეს და პოლიტიკური ნიშნით დევნილი დირექტორის დაბრუნება მოითხოვეს.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი ჯგუფის ხელმძღვანელს ნიკოლოზ გვარამიას, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი ნოდიას მიმართა და მოითხოვა, აღიკვეთოს საარჩევნო კამპანიის დროს სკოლაზე პოლიტიკური ზეწოლის ფაქტები.

გეზრულის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი ჯერ კიდევ შეწყვეტილია.

ინტერპრესნიუსი

◎ დასაფიქრებლად



# თოხი — ქართული „ტროას ცხენი“ აფხაზეთში?!

***ამ რამდენიმე დღის წინათ შემთხვევით ხელში ჩამივარდა სოხუმში გამომავალი გაზეთის „Новый день“ 4 აპრილის ნომერი, რომლის საკვანძო მასალა პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული ემა ხოჯაას პუბლიცისტური ნარკვევია „Кто работает в Кабинете Министров, или загадка эндурцев“ („ვინ საქმიანობს მინისტრთა კაბინეტში, ანუ ენდურელების გამოცანა“).***

***სანამ უშუალოდ ამ ნარკვევის თემას შევეხებით, მანამდე განვმარტავ, რას ნიშნავს „ენდურელები“. — ეს ტერმინი ამ სამი ათეული წლის წინათ „შვა“ სპარსულ-აფხაზური წარმომავლობის რუსულენოვანმა მწერალმა ფაზილ ისკანდერმა აფხაზეთში მცხოვრები მეგრელების, ზოგადად ქართველების „ეთნოფსევდონიმად“ — მათი „დაშიფრული“ გაქილიკებისათვის.***

ემა ხოჯაას ნარკვევი იწყება იმის აღწერით, თუ როგორ გაუმართა მუშტი-კრივი 1992-93 წლების ომში ფეხდაკარგულმა აფხაზმა ვეტერანმა ერთ-ერთი გასართობი დაწესებულებიდან გამოსულ ენდურელებს, რომლებიც „მთელი ქალაქის გასაგონად“, თურმე, ორიგინალურ ენაზე მღეროდნენ „სამშობლოს“.

*„წარმოგიდგენია, მათ ეყოთ იმის თავხედობა ეთქვათ, რომ ისინი ჩვენს მინისტრთა კაბინეტში მუშაობენ“,* — აღშფოთებას ვერ მალავდა ომის ვეტერანი ჟურნალისტთან საუბარში.

ამგვარი ინფორმაციის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალისტი, როგორც წერს ნარკვევში, თავად მიდის მთავრობის სახლში, ადის სამთავრობო შენობათა კომპლექსის მესამე სართულზე, აღებს კარებს და... მაშინვე ესმის ხმამაღალი საუბარი ენდურულად. — მღესავ მოხუც ენდურელს ორი ახალგაზრდა ენდურელი რიგრიგობით აწვდის ვედროებს რაღაც ხსნარით. იგი სხვა ოთახებითაც ინტერესდება და აღმოაჩენს, რომ თურმე ყველგან ენდურელების ბრიგადები საქმიანობდნენ (ქართულად „საქმიანობა“ დადებით კონტექსტიანი სიტყვაა — რუსულად ჟურნალისტი ხმარობს უარყოფით კონტექსტიან სიტყვას „орудовали“ძ. „საინსპექციო შემოვლაზე“ მყოფ ჟურნალისტს ენდურელები ყველგან კეთილგანწყობილად დახვდნენ, ზოგმა სურათების გადასაღებად პოზიორობაზეც არ თქვა უარი; არც ის დაუმალეს, საიდან და რისთვის ჩამოვიდნენ... ეტყობა, დახვედრა იმდენად თბილი და უშუალო იყო, რომ ჟურნალისტს, თუ მის სიტყვებს ვერწმუნებით, შენობაში მისვლისას სამთავრობო კომპლექსის სარემონტო-აღდგენითი ღონისძიებების ამ მუშაკებისადმი წარმოქმნილი მღელვარება ნელ-ნელა გადაუვიდა და თავისთვის ასკვნის: *არა, შეუძლებელია ჩვენს ქალაქში ამ თვინიერ ახალგაზრდებს „სამშობლო“ ემღერათო(?!ძ.*

მიუხედავად ამისა, იგი არ მშვიდდება და საკუთარ „ჟურნალისტურ გამოძიებას“ ატარებს, რომლითაც სოხუმის მარტო ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე „ენდურულად მოლაპარაკე“ ასორმოცდაათზე მეტ კალატოზს, მღებავს, დურგალს, სხვა მუშაკს აღმოაჩენს და ამით შეშფოთებული ასკვნის: *წარმოგიდგენიათ, მაშინ რამდენი ენდურელი იქნება მთელს აფხაზეთშიო.* შემდეგ უაღრესად საგულისხმო ფრაზას ისვრის: *ჩვენ ვჩივით, რომ ქალაქში ვერ გაიგონებთ მშობლიურ ენაზე საუბარს (ავტორი, ცხადია, აფხაზურს გულისხმობს —* **ი.ა.***ძ, სამაგიეროდ გეიზერის მძლავრი ჭავლივით იფრქვევა ენდურულიო..* ავტორი აქ „რევოლუციური სიფხიზლისკენ“ მოუწოდებს ხელისუფლებას — *ადვილი წარმოსადგენიაო, რას მოიმოქმედებს ეს მეხუთე კოლონა* (— ავტორი აფხაზეთში მცხოვრებ და დასაქმებულ ქართველს არა „პოტენციურ“, „შესაძლო“, არამედ აპრიორი „მეხუთე კოლონად“ მიიჩნევს — **ი.ა.**ძ, *თუკი მოხდება სამხედრო პროვოკაცია გალში ან ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებულ კოდორის ხეობაშიო.* ის კატეგორიულად სვამს კითხვას: რატომ უნდა იყოს ამ დროს ჩვენთვის პრიორიტეტი იაფი სამუშაო ძალა. თანაც, **აფხაზეთში მომუშავე ყოველ ენდურელთან სამი-ოთხი თანამემამულე მაინც ჩამოდის და ასე ხდება ტერიტორიის ხელახალი ათვისება(?!).** ყველას ხომ გვახსოვს, რომ **ჩვენი ყველა უბედურება ამით იწყებოდაო.**

„სამშობლოს დაცვის“ იდეით გამსჭვალულ ჟურნალისტს ისე კატეგორიულად არ უნდა ქართველების არა თუ დანახვა, არამედ შეშვება აფხაზეთში, რომ ვერც კი ამჩნევს, თავისი მრწამსით, სულისკვეთებით რა ახლოსაა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ერთ ევროპულ ქვეყანაში არასასურველი ეროვნების ადამიანებისათვის სახელმწიფოს გაწმენდის გაბატონებულ იდეოლოგიასთან, რომელიც ასეთთათვის სპეციალურ შეზღუდვებს აწესებდა და ტანსაცმელზე განმასხვავებელი ნიშნების ტარებას ავალდებულებდა.

დიახ, ნარკვევი ნამდვილად ახლოსაა ფაშისტურ იდეოლოგიასთან.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეთნოსის ზედმეტსახელით, „ფსევდონიმით“ მოხსენიება და მისი აპრიორი დამნაშავედ და მოღალატედ მიჩნევა სხვა არაფერია, თუ არა ამ ეთნოსისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება, თითქმის დაუფარავი ზიზღი და სიძულვილი. ამიტომ, ნებისმიერი მცდელობა ამგვარი „პროვინციული ფაშიზმის“ „პატრიოტული სულისკვეთებით“ შეფუთვისა, წარუმატებელია და მითიური მეფე მიდასის ყურებისა არ იყოს, მაინც კარგად მოჩანს.

მეორეც, სოხუმელი ჟურნალისტი შეშინებულია, რომ აფხაზეთში ისევ იმრავლებს ქართველობა. ის ამით არაპირდაპირ აღიარებს, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების შეყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე — მხოლოდ საბაბი იყო „ქართველების მიერ დარღვეული დემოგრაფიული ბალანსის გამოსასწორებელი“ ბრძოლის დასაწყებად. — აფხაზი მოსახლეობის დიდ ნაწილში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, თითქოს ქართველები იქ 1937-1953 წლებში, „სტალინ-ბერიას დროს“ ჩასახლდნენ. არადა, **1916 წლის მეფის რუსეთის დროინდელი სასოფლო-სამეურნეო აღწერით, აფხაზეთში მცხოვრები ყოველი 1000 კაციდან ქართველი იყო 404, აფხაზი — 277, მათ შორის სოფლად, შესაბამისად, 417 და 304 და ქალაქად — 285 და 33. იმ დროს ქართველი მეტი ცხოვრობდა, ვიდრე აფხაზი: სოხუმში — 14.8-ჯერ, ოჩამჩირაში — 5.6-ჯერ, გუდაუთაში — 4.4-ჯერ...**.

მესამეც, ავტორი „ისტორიულ პარალელს“ ავლებს და ამბობს, რომ თუ ადრე ეს (აფხაზეთის ტერიტორიის ათვისება ქართველთა მიერ) „ტრადიციული თოხით“ კეთდებოდა, ახლა ის ქაფჩამ და პულვილიზატორმა შეცვალაო. მოკლედ, ყველაზე სამშვიდობო, სამშენებლო იარაღები ქართველთა მიერ აფხაზეთის „დასაკავებლად“ თითქმის „ტროას ცხენის“ რანგში აყავს და განგაშის ზარებს რეკს.

რადგანაც ჟურნალისტი თავად „ვერ ხვდება“, სად გადის ზღვარი, ერთის მხრივ, პატრიოტიზმსა და, მეორე მხრივ, ფაშიზმსა და ქსენოფობიას შორის, იქნებ, ცოტათი ჩვენ დავეხმაროთ, გავაცნობიერებინოთ, „რა კერძია“ და როგორ უნდა დაიგემოვნონ აფხაზეთში მცხოვრებლებმა „ენდურული გამოცანა“, რომელიც თავად ავტორისავე სიტყვებით, *ჩემთვის ბოლომდე გამოუცნობი დარჩებაო.*

იგი თავად აღიარებს, რომ „თავის დროზე“ ქართველები აფხაზეთში თოხით ჩავიდნენ და არა საბრძოლო იარაღით. არადა, ბოლო 16 წელია, სეპარატისტები ცდილობენ დაარწმუნონ საკუთარი თავიც და დანარჩენი მსოფლიოც აფხაზეთში ქართველების იარაღით შესვლაზე — თითქოს მანამდე იქ ქართველები არ ცხოვრობდნენ, აფხაზეთი საქართველო არ იყო და ბოლო-ბოლო, სუვერენულ სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე იარაღით გადაადგილების უფლება არ ჰქონდა. კი, ნამდვილად ასახლებდნენ მცირემიწიან ქართველ გლეხებს აფხაზეთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მეოცე საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში, მაგრამ იქ ჩასახლებულებმა სხვისი შრომის ექსპლუატაციით კი არა, საკუთარი დაძაბული შრომით შეძლეს გარემოს „მორჯულება“, მათ ნამდვილად არ უზრუნველუყვიათ საკუთარი კეთილდღეობა სხვისი ქონების მითვისებით... ვისაც უნახავს, ალბათ არასდროს დაავიწყდება გაგრის დაცემის მეორე დღეს ჯერ კიდევ საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ლესელიძეში ჩვენი ქვეყნის მეთაურის ე. შევარდნაძისადმი ადგილობრივი ასაკოვანი ქართველი ქალის სასოწარკვეთილი, ტრაგიკულპათოსიანი მიმართვა ნაჯაფი ხელის გულების ჩვენებით: „ამ *ხელებით გავკაფე ჯაგნარი, დავაშრე ჭაობი, ისე ავაშენე სახლ-კარი და ახლა უნდა დავტოვო ეს ყველაფერიო?!*

„ენდურელების გამოცანის“ ამოხსნის გასაღები სწორედ ამ ქალის, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების შრომისმოყვარეობასა და სულიერებაშია.

მაგრამ თავად „ენდურელებზე სინდრომშეყრილებზე“ საუბრისას კითხვები, ვფიქრობ, სხვა კუთხითაც უნდა დაისვას: როცა ქართველები სოხუმის ახალმშენებლობებზე მუშაობენ, შენობა-ნაგებობებს არემონტებენ, სად არის ამ დროს აფხაზეთის „მკვიდრი მოსახლეობა“, რატომ არ სურს მას თავად შეასრულოს პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე, თავად „აშენოს“ ან „გაარემონტოს“ საკუთარი დედაქალაქი, სხვათა შორის, დაბომბილ-დანგრეული უმეტესწილად ომის დროს სწორედ სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ (ქართველთა და ალბათ, აფხაზთა ისტორიულ მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა სეპარატისტთა მაშინდელი ლიდერის „ფრთოსანი“ ნათქვამი სოხუმის უმოწყალო დაბომბვის გასამართლებლად: *„ჩვენ გვინდა ტერიტორია და არა ქალაქი!“...ძ.* თუ პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღის ხელში აღება ან „კოლაბორაციონისტებსა“ და „კუდიანებზე ნადირობაა“?!. ანდა, რატომ არ ეხმარებიან ამ სარეაბილიტაციო სამუშაოებში მათ „ჩრდილოკავკასიელი ძმები“? რატომ ვერ ნახულობენ „თავიანთ ადგილს“ ისინი მშვიდობიანი აღმშენებლობის პროცესში? — თუ ამ უკანასკნელთ სოლიდარობის გრძნობა მხოლოდ დენთის სუნის დროს უჩნდებათ? ან იქნებ, როცა საამისო ბრძანება კრემლის, ლუბიანკისა თუ იასენევოს მესვეურთაგან მოდის?!

მაინც, აფხაზეთის სამთავრობო კომპლექსის რემონტზე რატომ მუშაობენ ქართველები და „არ ჩანან“ აფხაზები? შეიძლება ბევრმა ამას ისეთი ახსნაც მოუძებნოს, რომ დაბალი ანაზღაურების პირობებში აფხაზები (და მათსავით, ჩრდილოკავკასიელებიძ უბრალოდ, არ კადრულობენ. შეიძლება ეს ასეცაა. თუმცა, სხვა ვარიანტიც უნდა განვიხილოთ: **„დამოუკიდებლობის 15 წლის მანძილზე“ აფხაზეთი დატოვა დახლოებით 15-ჯერ მეტმა აფხაზმა, ვიდრე ამ მცირერიცხოვანმა ეთნოსმა დაკარგა 1992-1993 წლების ომში.** იქნებ ამიტომაც უკვირს ნარკვევის ავტორს, რომ *სოხუმში არ ისმის აფხაზური საუბარი და „გეიზერივით იფრქვევა „ენდურული“ მეტყველება.* იქნებ აღნიშნული პრობლემით შეწუხებულ ჟურნალისტს იმაზეც ეფიქრა, თუ რატომ გავიდა „ქართველებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთიდან“ ამდენი აფხაზი და როგორ „გადაფარავს“ ამას სოჭის ოლიმპიადის მზადებისათვის აფხაზეთში 50 ათასი რუსეთელის ორგანიზებული ჩამოსახლება?! უკვე დღეის მდგომარეობით, აფხაზეთის თავისუფალი ეკონომიკური განვითარების პირობებში **ხელმძღვანელისათვის იღლიაში „სავალდებულოდ“ ამოსადებ საქმიან საქაღალდეთა „სრული ათვისებისთვისაც“ კი აფხაზებს ნამდვილად აღარა აქვთ საკმარისი ეთნო-დემოგრაფიული რესურსი** — ამას ნიშნის მოგებით ნამდვილად არ ვამბობ.

ისე, სხვათა შორის: ერი მაშინაა სრულყოფილი, სიცოცხლისუნარიანი და განვითარებადი ორგანიზმი, როდესაც იგი საზოგადოების ყველა სოციალურ ჯგუფში, ფენაში, ძირითად პროფესიებშია წარმოდგენილი. თუ ეს ასე არაა და მისი წარმომადგენლები მხოლოდ „ხელმძღვანელებად ყალიბდებიან“, ეს აჩქარებს ეთნოსის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის სერიოზული საფრთხეების შემცველ თავად ამ ერის, ეთნოსის ეთნიკურიდან წოდებრივკასტურ რანგში გადასვლის პროცესს..

ნარკვევში ზემოხსენებული ავტორისეული შიში ქართველთა აფხაზეთში „თოხითა და პულვილიზატორით შესვლის“ საფრთხეებზე მეტაფორულზე მეტად პარანოიდული დატვირთვის მატარებელია. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობის კეთილდღეობის დიდი ნაწილი სწორედ ქართველთა (მათი რიცხოვნობის გათვალისწინებით) შრომითაა შექმნილი.

ქართველები, აშენებენ და არემონტებენ რა სახლებს სოხუმში, ამით საკუთარი ქვეყნის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნავენ, არ ავიწყდებათ, რომ აფხაზეთი საქართველოა და ამიტომაც მღერიან ქართულ სიმღერას შუაგულ ქალაქში. ამ მხრივ „სამშობლოს“ სიმღერა სწორედ რომ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. — მისი მღერა, დარწმუნებული ვარ, ნოსტალგიით კი არა, მშობლიურ მიწაზე დგომის განცდით იყო გამოწვეული. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა ქართული სიმღერა და სიტყვა-პასუხი, როგორც ოდესღაც, სოხუმის, მთელი აფხაზეთის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან იქნება გაგონილი, ისევე როგორც აფხაზური, რომელიც დღეს ჩვენთან მხოლოდ ლილოს ბაზრობაზე სავაჭროდ ჩამოსული აფხაზი ქალბატონების დიალოგებში თუ ისმის — თბილისსა და მთელ საქართველოში...

და ბოლოს: აფხაზებთან შედარებით თუ სოხუმში მომუშავე ქართველი მუშები დღეს ნაკლებ გასამრჯელოს იღებენ, ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ხელფასის ერთეულზე „მეტხელფასიანებზე“ უფრო მეტი პატრიოტები არიან. „ხელფასის ერთეულზე“ მეტი პატრიოტები კი საქართველოს მრავლად ყავს ენგურსიქეთა და ენგურსაქეთა საქართველოში...

**იოსებ არჩვაძე.**
**2008 წლის მაისი**

ყველას თავისი აზრი აქვს





# ჯანყი ევროპაში,



## ანუ ენერგომატარებლების ფაქტორი რუსეთის ხელში უფრო „წონადი“ არგუმენტი აღმოჩნდა ევროპისთვის, ვიდრე ნატოსა და აშშ-ის ავტორიტეტი, პრესტიჟი და ... სამართლიანობა

**ნათქვამი „ნამეტნავად“ წიწაკიანი რომ არ გამომსვლოდა, ცოტა იუმორი წავაშველე და ამით შემოდავების სურვილი დავუკარგე ამ დიდებულ გრძნობას მოკლებულ „ტეტიებს“.**

ბუქარესტის სამიტმა კოსოვოს პრეცედენტის შემდგომი ლეგიტიმაციის ფონზე და მისი ზეწოლით ჩაირა.

უეჭველია, მსოფლიო ლიდერთა ბუქარესტის ეს შეხვედრა უახლოეს ისტორიაში შევა, როგორც აჯანყებულთა სამიტი, სადაც „ბებერი“ ევროპა ღიად დაუპირისპირდა შეერთებული შტატების მცდელობას (იქნებ სულაც უკვე შემდგარ რეალობას), იყოს ყველგან და ყველაფერში პირველი პირველთა შორის. ისიც მართალია, რომ ევროპა და დანარჩენი მსოფლიო საეჭვოდ არ ხდის აშშ-ის ასეთ უფლებას, იყოს პირველი ეკონომიკურ, სოციალურ, ადამიანთა უფლების სიტყვის თავისუფლებისა, მსოფლიოში ჯანსაღი ეკოლოგიისათვის ბრძოლის საქმეში და ა.შ. და ა.შ. ევროპა აღაშფოთა აშშ-ის მცდელობამ, საკუთარ ხელში მოაქციოს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მსოფლიოში მართლწესრიგის დაცვის ფუნდამენტური უფლებები. ევროპამ მიიჩნია, რომ ამ პრობლემების დარეგულირების უფლების მონოპოლიზაცია ამერიკას საშუალებას მისცემს დანარჩენ მსოფლიოს უკარნახოს (უფრო ზუსტად მას თავზე მოახვიოს) თავისი ნებასურვილი, რაც ამ უკანასკნელთ სულაც არ აწყობთ და ამიტომ მოუწყო მას აჯანყება ბუქარესტში.

ისიც უეჭველია, რომ ამ პრობლემებთან დაკავშირებით წინააღმდეგობა აშშ-სა და ევროპას შორის დიდი ხანია, რაც არსებობს და ის, დღეს თუ არა ხვალ მაინც, უნდა წარმოჩენილიყო — ამ სამიტზე კი ევროპის მოთმინების ფიალა აავსო აშშ-ის მცდელობამ ევროპას უკარნახოს რა და როგორ აკეთოს და თავზე მოახვიოს ამერიკისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც მსოფლიო მართლწესრიგის, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში. ძირითადი წინააღმდეგობის არსი ევროპასა და ამერიკას შორის მდგომარეობს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის განსხვავებულ ხედვასა და მათდამი განსხვავებულ მიდგომებში: აშშ-ს მიაჩნია, რომ ეს პრობლემები მის ხელში უნდა იყოს მოქცეული და ისინი მისი ბრძანებით უნდა წყდებოდეს. ევროპა კი თვლის, რომ ასეთი უფლების ამერიკის მიერ ცალმხრივი მონოპოლიზაცია სიკეთეს ვერ მოუტანს მსოფლიოს, ის ამ უკანასკნელს მიიყვანს ახალ ავღანეთამდე, ერაყამდე, ირანამდე ა.შ. და ა.შ. ამ შემთხვევაში ევროპა აღნიშნულ პრობლემებზე ერთიანი ხედვის გამომუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს.

აი, აქ კი ევროპა წინააღმდეგობაში ვარდება. ის მართალია, როცა ბრალს დებს აშშ-ს ერაყის, ავღანეთის გამო, მაგრამ ავიწყდება, რომ სწორედ მან (ევროპამ) როცა კოსოვოს პრეცედენტის დაშვებით მოახდინა სეპარატისტულ მოძრაობათა ლეგიტიმაცია მსოფლიოში, ამით ძირი გამოუთხარა არა მარტო მსოფლიო მართლწესრიგს, არამედ ყველასთვის ასე სასურველ მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებასაც. ან კიდევ, რატომ დაივიწყა ევროპამ აშშ-ის წინადადება ტერორისტების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობაზე, რითაც მან დანარჩენ მსოფლიოს მიმართა ავღანეთში შეჭრის წინ. ამაზე პასუხად კატეგორიული უარი მიიღო. ევროპის ასეთი უარით კი მსოფლიომ იზარალა. ასე მოიქცნენ რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები. ასე რომ, როგორც იტყვიან, სადაც ამერიკისას იტყვი, იქ ევროპისაც უნდა თქვა.

ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა სხვა ფაქტორებმაც იქონია. სრულებითაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ბებერი ევროპის აჯანყებაში, ანუ ამერიკისაგან განდგომაში, მსოფლიოს ახალმა კერპმა — ენერგომატარებლებმა მოახდინა გავლენა. მოდით, დავაკონკრეტოთ: რუსეთის ხელში ენერგომატარებლების ფაქტორი უფრო წონადი არგუმენტი აღმოჩნდა მსოფლიოსათვის, ვიდრე აშშ-ისა და ნატოს ავტორიტეტი, პრესტიჟი და ... სამართლიანობა თუნდაც უკრაინასა და საქართველოს მაპის რეჟიმში გადაყვანის თაობაზე.

მოდით, ახლა სხვა კუთხით შევხედოთ ამ ფაქტს. მსოფლიო მართლწესრიგი და საერთაშორისო უსაფრთხოება თითქოს ზოგადი ცნებებია, და მხოლოდ მათი პრაქტიკული მატერიალიზაცია ხდის ხელმისაწვდომს ამ უკანასკნელებისთვის ყველა იმ სიკეთეს, რაც აღნიშნული პრობლემების ასეთ ასპექტში გადაწყვეტას მოაქვს როგორც მსოფლიოსათვის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ყველა კონკრეტული სუბიექტისთვის.

ჩვენთვის, ჩვენი სახელმწიფოსათვის, საქართველოს ბედნიერებისათვის კი „ამ ზოგადსაკაცობრიობო სიკეთეების“ ნაყოფი ყოვლად მიუწვდომელია (ჯერჯერობით მაინც) და აი რატომ:

1. გარეშე ძალების აშკარა წაქეზებით, სამხედრო და ფინანსური დახმარებებით, სეპარატისტულმა მოძრაობებმა და მათმა უცხოელმა მფარველებმა უკვე მიაღწია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის დანგრევას.

2. ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების (დაქირავებულ მკვლელთა) ბანდებისა და უცხო ქვეყნის რეგულარული არმიის დახმარებით დაამარცხეს მათი მოხალისეთა დონეზე „ორგანიზებული ქართული შეიარაღებული ძალები“ და მოახდინეს აფხაზეთის ფაქტობრივი ოკუპაცია, ჩამოაშორეს ის საქართველოს.

3. იქ ქართველებს მოუწყვეს გენოციდი და ეთნოწმენდა. დღეს კი, ჩვენდა გასაკვირად, ვილაცები ცდილობენ სეპარატისტებისა და მათი მფარველების მიერ აფხაზეთში ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი ამ ორი უმძიმესი დანაშაულიდან როგორმე ამოაგდონ, მიჩქმალონ, მსოფლიოს დაუმალონ ქართველთა გენოციდის ფაქტი და აფხაზეთში დატოვონ მხოლოდ ქართველთა ეთნოწმენდა, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული.

4. ყოველივე ამის შედეგად აფხაზეთიდან გამოდევნეს მისი ძირითადი მოსახლეობის ხუთი მეექვსედი ნაწილი. დანარჩენ სხვა უბედურებებზე დაწვრილებით შემდგომ წერილში შევჩერდები, როდესაც რუსეთის რეაქციული ძალების მიერ სეპარატისტულ რეჟიმებთან თანამშრომლობისა და მათი ლეგიტიმაციის მცდელობის შედეგებს განვიხილავთ.

ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ ბუქარესტის სამიტს, იქ მოწყობილ „აჯანყებას“, რის შედეგადაც საქართველოსა და უკრაინას გერმანიის კანცლერის ქალბატონ ანგელა მერკელის „თამადობით“ ცხვირწინ მიუკეტეს ნატოსკენ მიმავალი კარი, უარი უთხრეს მაპის რეჟიმში გადაყვანაზე და უკრაინას დროებით რომ მოვეშვათ, საქართველო საჯიჯგნად მიუგდეს რუსეთს. ამ საქმეში ლომის წილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიდო გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. იგი მკერდით გადაეფარა ასეთ რეჟიმში გადაყვანის საკითხს: არიქა, ქართველებს მაპი არ მისცეთო.

რა მოელანდა ქალბატონ მერკელს? იქნებ ის გაახსენდა, თუ როგორ მიუნგრიეს ცხვირპირი გერმანელებს ბერლინში ი. სტალინის ხელმძღვანელობით.

იქნებ მე ერთობ ვამარტივებ ამ საკითხს, მაგრამ მაინც მგონია, რომ მერკელის გადაწყვეტილებას ქართველების სიყვარული არ ედო საფუძვლად. შე კაი ქალო, იქ, სადაც სტალინი გაგახსენდა, ბერლინში რომ „ტანცი-მანცი“ მოუწყო გერმანელებს, იქ იქნებ ე. შევარდნაძეც გაგხსენებოდა, რომელმაც ორად გახლეჩილი გერმანიის გაერთიანებასა და ბერლინის კედლის დანგრევაში ფასდაუდებელი წილი დაიდო (მომდევნო წერილში, როცა ქართველ „მამლუქებზე“ მექნება ლაპარაკი, ე. შევარდნაძის სხვა დამსახურებაზეც ვიტყვი). თქვენი მოქმედებისა მე ვერაფერი გავიგე ქალბატონო, ტყუილად არ უთქვამთ ქართველებს, ქალის ლოგიკაში წვდომის ცდა ქვიჯაში წყლის ნაყვას ჰგავსო.

ქალბატონმა მერკელმა რომ არ მისაყვედუროს, რაღა მაინცდამაინც მე მომდექი, ვერ ხედავ აგერ პანგიმუნმა რა თქვაო, ბარემ ამაზეც მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას.

ბ-ნმა პანგიმუნმა აფხაზეთში დღევანდელი სიტუაციის გაცნობის შედეგად ჯერ არნახული, არგაგონილი დასკვნა გააკეთა: დღევანდელ აფხაზეთში მშვიდობა და ჰარმონია სუფევსო. ჩემდა თავად, მკითხველისათვის მიმინდვია ამ ბატონის ასეთი დასკვნის სისწორე და სამართლიანობა. მაგრამ მეც რომ არ ვთქვა, არაფრით არ შემიძლია.

როგორ შეიძლება დღეს აფხაზეთში ჰარმონია და მართლწესრიგი იყოს, როცა იქ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველებს ეთნოწმენდა, გენოციდი მოუწყვეს, რის შედეგადაც აფხაზეთის მოსახლეობის ხუთი მეექვსედი გამოდევნილია, ხოლო რუსეთმა, სეპარატისტული რეჟიმის აშკარა თანხმობით, იქ დარჩენილ მოსახლეობის ერთ მეექვსედ ნაწილს ძალით ჩამოურიგა რუსული პასპორტები და ისინი თავის მოქალაქეებად გამოაცხადა!!... ამით დიდმა რუსეთმა თავისი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის საბაბით აფხაზეთი თავისი ზეგავლენის სფეროდ გამოაცხადა და ამ მოქალაქეების დაცვის ვალდებულების საბაბით იქ რეგულარული ჯარი და მძიმე ტექნიკა შეიყვანა!!

ბატონი პანგიმუნი კი ყოველივე ამაში „ჰარმონიასა და მშვიდობას“ ხედავს. უკაცრავად პასუხია და აფხაზეთიდან გამოდევნილ ყველა კაცს პანგიმუნის ასეთ აბსურდულ დასკვნას შეუძლია ძარღვიანად უპასუხოს „მაშ მტყუანის ასე და ისეო“ და მართალიც იქნება. ისიც საკითხავია, როგორ მოხვდა გაეროს გენერალურ მდივნად ასეთი უაღრესად „ანალიტიკური ჭკუის“ კაცი?!

დაბოლოს ერთიც. იმათ, ვინც ცხვირწინ მოგვიხურა ნატოს კარი, ვეტყვი:

**ჩვენზე ყველა კბილს ილესავს,**
**შენ გვიშველე, ღმერთო,**
**ჩვენ ნატოში მაინც შევალთ,**
**ჭიპზეც რომ გასკდეთო.**

**დავით დოლბაძე,**
**სამართლის დოქტორი, აფხაზეთიდან დევნილი ინტელიგენციის კავშირის თავმჯდომარე.**



მათქმევინეთ!

# ამ წერილს ნუ ენდობით




**საერთოდ წერილის ან გზავნილის მიღება მუდამ მსიამოვნებდა, მით უმეტეს, თუ იგი ბაბუასგან იყო. მას ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის 2000 მანეთის ოდენობის ყოველთვიური პენსია ჰქონდა დანიშნული.**

მე როგორც სტუდენტს, აქედან გარკვეული რაოდენობის თანხას მაწვდიდა. დღეს „ჩემი წილი“ თანხა სანატრელი გამიხდა; მიუხედავად იმისა, რომ არც განათლება მაკლია და არც მუშაობის სტაჟი.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოგზავნილი „წერილი უფროს თაობას“ რომ მივიღე, სახტად დავრჩი. მისი შინაარსი დიდად მეტოშა, ასე ვიფიქრე, ვინმე უცხოპლანეტელმა ხომ არ გამოგზავნა-მეთქი. დღეს საქართველოში, იმერში და ამერში, ხალხი მეტად გაჭირვებული რომ ცხოვრობს, ეს მგონი ჩვენმა პრეზიდენტმა არ იცის და ხალხს 70 ლარამდე პენსიის გაზრდას ამადლის. ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში ერთიორად გაძვირდა ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია, ტელეფონით მომსახურება, ბენზინი, შაქარი, პური და ყველასათვის აუცილებელი მედიკამენტები. ამ უკანასკნელის ორმა ფირმამ „პსპ“-ემ და „ავერსმა“, ქართულად რომ ვთქვათ, მთელი მოსახლეობა გაატყავა, გამკითხავი კი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

წერილში ვკითხულობ, ჩვენ გავიგეთ როგორ ვიმოქმედოთ, როგორ გავზარდოთ პენსია თქვენთვის და შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილებიო. ბოდიში და არ გრცხვენია ამ სიტყვებისა? მე თქვენ გეკითხებით, რატომ დააკინეთ და დაშლის პირას მიიყვანეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რატომ ნულამდე დაიყვანეთ საქართველოს სასკოლო განათლების საქმე, რატომ გააუქმეთ ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები... ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქვეყანაში ჩატარებული სამედიცინო რეფორმაც. ასე რომ, ქართველ ხალხს დღეს ძალიან უჭირს. მიხვდით და შეიგნეთ, რომ თქვენი პიარკომპანიები, შადრევნები, შეღებილი ფასადები და აქა-იქ დაგებული ასფალტი ხალხს ვერ უშველის. დაკვირვებით გაიარ-გამოარეთ საქართველოს მთასა და ბარში, მლიქვნელების გარეშე და ნახავთ ხალხს როგორ უჭირს: გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში... საკუთარი თვალით ნახეთ გავერანებული ჩაის პლანტაციები დასავლეთ საქართველოში. ხეხილის ბაღები და ასობით ჰექტარი ვენახი აღმოსავლეთ საქართველოში. ნახეთ განადგურებული ფაბრიკები და ქარხნები. ეს ყველაფერი თქვენი გუნდის უნიათობამ ქნა.

ისეთი სილარიბე და გაჭირვება როგორიც დღეს ჩვენშია, არც ერთ საუკუნეში არ ყოფილა. იმედის ნაპერწკალიც კი არ ჩანს. თქვენი გუნდის მოქმედებამ მე და ჩემისთანებმა დაგვარწმუნა, რომ ამ გაჭირვებიდან, ამ სილარიბიდან საქართველოს თქვენ ვერ გამოიყვანთ, ვერ უშველით.

საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ თქვენი გუნდის უნიათობამ ზენიტს მიაღწია, არ გივარგათ არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკა. ოდნავ დაფიქრდით და ნუ გაწირავთ ასეთი დიდი წარსულისა და სახელოვანი ისტორიის მქონე ერს. ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს. აშკარაა, რომ თქვენი გუნდის მიერ ჩატარებულმა პოლიტიკამ ვერავითარი სიკეთე ვერ მოუტანა ვერც ქვეყანას, და რა თქმა უნდა, ვერც ხალხს. ამიტომ ყოვლად ზედმეტია საარჩევნო კამპანიის დროს ხალხისთვის თვალში კიდევ ერთხელ ნაცრის შეყრა.

თქვენ მწერთ, მინდა ქართული სოფელი იყოს მოვლილი და ყველა ოჯახის წევრი დასაქმებულიო. ასეთი ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო. მაშინ ყველა სოფელი ელექტრიფიცირებული იყო, ჰქონდათ რადიო, საკუთარი გაზეთი, სკოლა, ბიბლიოთეკა, ჩაის, ყურძნისა და ხილის გადამამუშავებელი ფაბრიკები და ქარხნები, სამედიცინო პუნქტები. ეს ყველაფერი გაპარტახდა, წარსულს ჩაბარდა, რაშიც დიდი წვლილი თქვენს გუნდსაც მიუძღვის.

წერილის ბოლოს ვითომ ინანიებთ შეცდომებს, ბოლო წლებში ვერ მივაქციეთ ქვეყანას სათანადო ყურადღება და მოვაკელით სათანადო მზრუნველობაო. ვითომ დაგიშალათ ვინმემ ამის გაკეთება? რა თქმა უნდა არა. რაც არ შეგიძლიათ, იმას ტყუილად ნუ შეეჭიდებით.

დაბოლოს, თქვენს წერილს მე მოკლედ ვუპასუხებ ერთი ქართული ანდაზით, რომელიც სწორედ თქვენზეა თითქოს ნათქვამი: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. ასე რომ, ქვეყნის მართვა პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილებს დაუთმეთ, რათა ეს განწირული ხალხი და ქვეყანა გადარჩეს!

**დურმიშხან ცინცაძე**

გლობუსი

# მოჩვენებითობა

**ცუდი კარდიოგრამის მსგავსი ქართულ-რუსული ურთიერთობა, მძაფრი ვერბალური შეტევის შემდეგ, განელების ფაზაში შედის. საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვაშაძის განცხადებამ, რომ თბილის-მოსკოვის კამათი სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური სამიტის დროს განიხილება, თეთრი მანდილივით იმოქმედა.**

ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი მეორე პლანზე გადადის და ისე, როგორც ყოველთვის მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას სტოვებს. მათ შორის ისეთებს „როგორებიცაა – რამ გამოიწვია რუსი სამშვიდობოების რაოდენობის გაზრდა? რაღა აპრილის დასასრულს და არა სხვა დროს განხორციელდა ეს გეგმა? რატომ დაემთხვა რუსული კონტინგენტის გაზრდა კოდორში „პოლიციური“ ძალების გაფართოებას? მეორე მხარის განცხადება აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის, ანუ „ბლიც კრიგის“ დაწყების მცდელობასთან დაკავშირებით ჰალუცინაციის ნაყოფია? რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების განცხადებები, რომ რუსეთი გულხელდაკრეფილი არ შეხვდება აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, რალაცის მომასწავებელი იყო? ამ კითხვებს ოდესმე გაეცემა პასუხი. საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში ახალი პარლამენტის პირველსავე შეკრებაზე. მანამდე ყველაფერი ბუნდოვნად დარჩება, ისე, როგორც ადრე.



**საზოგადოებას დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს სანკტ-პეტერბურგის შეხვედრის. არც არავინ იცის გაიმართება თუ არა ასეთი შეხვედრა, ვინაიდან სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური სამიტის ფორმატი არ ითვალისწინებს დსთ-ს ხელმძღვანელებთან ორმხრივი მოლაპარაკების გამართვას. დაკვეთით შედგა მედვედევ-საკაშვილის შეხვედრა, მერე რა? მედვედევი გააუქმებს მისი წინამორბედის გადაწყვეტილებას სეპარატისტულ რეგიონებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობის თაობაზე? დოკუმენტის გაუქმებას არა მარტო საქართველოს ხელისუფლება, არამედ, გაეროს მეგობარი ქვეყნებიც მოითხოვენ, რაც არარეალურია. მედვედევის მიერ დოკუმენტის გაუქმება გარკვეულ დაძაბულობას შექმნის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, რაც ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების დასაწყისისათვის ერთობ შეუფერებელი ნაბიჯი იქნება.**

სანკტ-პეტერბურგის მოლაპარაკების გამართვას მომზადება ესაჭიროება. ამასთანავე მოსალაპარაკებელი საკითხების სამუშაო ჯგუფების დონეზე განხილვა და მათი პრეზიდენტებისათვის წარდგენა. ამ რთულ პროცესს დრო სჭირდება. ოთხი წლის განმავლობაში თბილის-მოსკოვს შორის მსგავსი სახის მოლაპარაკება არ ყოფილა. იყო მხოლოდ შეხვედრები და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უნაყოფო, არაფრის მომტანი შეხვედრები, შეხვედრებისათვის.

საქართველოს ხელისუფლების მიერ დატრიალებული ანტირუსული პროპაგანდის ფონზე ძნელია შეხვედრის პოზიტიურობაზე მსჯელობა. მართალია, ქართულმა ქარიშხალმა გარკვეულ შედეგს მიაღწია დასავლურ მედიაში, მაგრამ საგნობრივი წარმატება მას არ მოუტანია და ვერც მოიტანდა ერთი მარტივი მიზეზის გამო – ვერც ვაშინგტონი, ვერც ნატო და ვერც ევროკავშირი ვერ გადადგამს რუსეთის საწინააღმდეგო კონფრონტაციულ ნაბიჯს, მით უმეტეს საქართველოს გულისათვის. მოსკოვმა იოლად მოიგერია დასავლური შეტევა და პირიქით, პოზიციებიც გაიმაგრა აფხაზეთში, ვინაიდან ხელმოწერილი დოკუმენტი ამის საშუალებას იძლევა. იურიდიულად არც ქართული მზვერავი თვითმფრინავების ფრენაა გამართლებული კონფლიქტის ზონაში. ეს არა მარტო მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულებით იკრძალება, არამედ 2008 წლის 16 აპრილის გაეროს უშიშროების საბჭოს 1808 რეზოლუციითაც. დოკუმენტი სპეციალურად მიიღეს, რათა წერტილი დაესვა მსგავსი ქმედებისათვის, თუმცა უშედეგოდ. მან ხელი ვერ შეუშალა 20 აპრილს კონფლიქტის ზონაში ქართული თვითმფრინავის შესვლას.

**ისე, როგორც სხვა საკითხებში, სრული გაუფასურების დონემდეა მისული დიპლომატიაში მიჩნეული მეტად საჭირო და გამაფრთხილებელი პროცედურის – საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროცესტო ნოტის გადაცემისათვის ელჩის მიწვევის საკითხი. რუსეთის ელჩს თითქმის ყოველდღე უხდება ამ არასასიამოვნო „ცერემონიალში“ მონაწილეობა, რაც თავისთავად აუფასურებს პროცედურას. ერთ-ერთ მორიგ მიწვევიდან გამოსული რუსეთის ელჩი კოვალენკო ჟურნალისტის შეკითხვაზე – რაზე დაიბარეს საგარეო უწყებაში, ელჩმა ჭკუის სასწავლებლად უპასუხა – მე არ „მიბარებენ“, „მიწვევენო“. დროა ქართულმა პოლიტიკამ და მასმედიამ შეითვისონ მარტივი დიპლომატიური ცნებები, როგორიცაა უცხო ქვეყნის ელჩის მიწვევა და არა დაბარება-გამოძახება. იბარებენ საკუთარ ელჩს და არა სხვა ქვეყნისას.**

ბოლო დროს მოჭარბებული აქტიურობით გამოირჩევა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი შონ მაკორმაკი. ის ისეთივე „ახლობელი“ გახდა ჩვენთვის, როგორც ბრაისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაკორმაკის თავგამოდება აფხაზეთისათვის სააკაშვილის ზეპირ შეთავაზებებთან დაკავშირებით. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მოხელის მოსაზრება 1992 წელს რომ გახმოვანებულიყო, რაღაც შედეგი უეჭველად იქნებოდა, მაგრამ 2008 წელს ის ისეთივე უნაყოფოა, როგორც წინადადებები. ამ ამბავიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – საქართველოს ყველა დროის ხელისუფლების, მათ შორის კომუნისტურიდან დაწყებული, დღევანდელის ჩათვლით, სერიოზული დაფიქრება მაშინ ხდება, როდესაც ურემი გადაბრუნებულია. დაგვიანებული რეაქცია უფრო თავის მოტყუებაა, ვიდრე საქმის კეთება. ნაციონალთა საარჩევნო ლოზუნგი – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, ჩვენდა სამწუხაროდ, შებრუნებით ხდება.

თუ თვალს გადავავლებთ ქართულ-აფხაზური „კინკლავის“ ისტორიას, განსაკუთრებით გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული, თბილისის რეაქცია ყოველთვის იყო დაგვიანებული, ხოლო უკიდურესი გამწვავების პიკზე, დამთმობი.

**მჟავანაძის შემდეგ საქართველოს ახალი ხელისუფლების რევოლუციური საკადრო პოლიტიკისა და სხვა მიუღებელი გადაწყვეტილებების შედეგად აგორე-**

ჭირი დანახული სჯობს

# ხანძარი აივანზე... გულში



**ეს სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი მარიამ გოგიაშვილია, რომელიც თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე 1968 წელს აშენებულ № 41 კორპუსში ცხოვრობს.**

– ეს სახლი თავის დროზე აქ, ჩვენს ეზოში აშენდა, რომელიც მამაჩემს ეკუთვნოდა, - ამბობს ქალბატონი მარიამი. – მაშინ იქ იდგა პატარა ორსართულიანი სახლი, რომელშიც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა. მე იმ სახლში დავიბადე და გავიზარდე. როცა კორპუსი აშენდა, ჩვენ ეს ბინა მივიღეთ მეორე სართულზე. მე წლების განმავლობაში პროვიზორად ვმუშაობდი პირველ აფთიაქში სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკო-ქიმიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ...

ქალბატონი მარიამი ყოველთვის სარგებლობდა საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით, რაც გამოიხატება იმით, რომ მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული პროვიზორის წოდება და მის მიმართ კეთილგანწყობას ავლენენ ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები... პენსია, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მაგრამ ცხოვრება მიდიოდა თავისი დინებით.

და გასულ თვეში, როცა 9 აპრილი მიილია და დრო შუაღამეს გადასცდა, დიასახლისი გაემზადა დასაძინებლად... ამ დროს უეცრად კარებზე ზარი გაისმა – აღელვებული და მშფოთვარე... რეკავდა მეზობელი ნანა, რომელიც ხშირად ხელს უწყობს და ეხმარება მხცოვან ქალბატონს ყოველგვარ საქმეში ან გასაჭირში.

– აივანზე ხანძარია! – მიაძახა ნანამ მეზობელს. – გააღე აივნის კარი...

მას ძალიან შეეშინდა და სასწრაფოდ დაურეკა (კიდევ კარგი - ტელეფონი მუშაობდა!ძ იქვე, მეხუთე სართულზე მცხოვრებ დისშვილს ქეთინოს, რომელიც დაუყოვნებლივ ჩამოვიდა და შეეცადა, დაეწყნარებინა შეშინებული და ანერვიულებული დეიდა, და გონებაწასულის საშველად გაისარჯა.

აივანზე კი ხაძარი ბობოქრობდა. მართალია, მეხანძრეები თავგამოდებით ებრძოდნენ ცეცხლს და გამონაბოლქვს. ჩაქრობას დაახლოებით 3 საათი დასჭირდა.

– მადლიერი ვარ მეხანძრეების, – ამბობს ქალბატონი მარიამი. – ისინი რომ არა, ძნელი წარმოსადგენია რა დაგვემართებოდა... თუმცა ხანძრის ნაკვალევი ახლაც საკმაოდ შემაწუხებელია...

და ქალბატონმა მარიამმა გვიამბო ამ ხანძრისა და სხვა შემაწუხებელ ამბებზე რაც იქვე, პირველ სართულზე არსებულ „სურსათის მარკეტს“ უკავშირდება.

ეს სასურსათო მაღაზია შვიდი-რვა წლის წინათ გაიხსნა ქალბატონი მარიამის ბინის ქვემოთ, პირველ სართულზე. ყველას გაუხარდა, რადგან შესაძლებელი ხდებოდა საჭირო სურსათის აქვე ახლოს შეძენა და შორს წასვლა საჭირო აღარ იყო . და ყველანი ცხოვრობდნენ და თანაარსებობდნენ კეთილმეზობლურად. სანამ გასული ახალი წლის წინა დღეებში არ მოინდომეს მაღაზიის შესასვლელის თავზე არსებულ აივანზე განელაგებინათ „პეპსი-კოლას“ ფართო სარეკლამო დაფა წარწერით: „სურსათი“.

ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, მოელაპაკნენ ბინის პატრონს – ქალბატონ მარიამს, რომელსაც მოაწონეს კარგად დახატული სარეკლამო ფარი და განათავსეს აივანზე ყოველგვარი ნორმებისა და წესების დაუცველად, შესაბამისი ორგანოების უნებართვოდ. მასთან კრინტიც არ დაუძრავთ რაიმე გადასახადზე სარეკლამოდ ამოდენა ფართის სარგებლობისათვის.

როცა ამაზე ჩამოვარდა საუბარი სასურსათო მაღაზიის თანამშრომლებთან, მათ ისე გაიკვირვეს, თითქოს არც გაეგონოთ ქალაქის ცენტრში სარეკლამო ფართის ღირებულების შესახებ...

არადა ამ სარეკლამო დაფამ ბევრი უსიამოვნება და ზარალი მოუტანა მარიამ გოგიაშვილს, შეაწუხა ის და დაურღვია ცხოვრების ჩვეული რიტმი... ჯერ იყო და თავიდან ის რეკლამა ისეთი ფორმისა გამოდგა, რომ, წვიმის დროს შხეფებს შიგნით აირეკლავდა ხოლმე, მეორეც, ისეთი ხარისხის პლასტიკატებიდან ყოფილა დამზადებული, რომ იმ ხანძრის დროს უზომოდ გაჭვარტლა არა მარტო აივანი, არამედ მთელი მიმდებარე ოთახებიც. რაც ცეცხლს გადაურჩა, ის ძლიერი ჭვარტლის გამო დღესაც გაუვირგისებულია...

ამას თუ მივუმატებთ უშუალოდ დამწვარ და განადგურებულ კარადებსა და სხვა ნივთებს, აივანზე რომ ინახებოდა, მეტნაკლებად მივიღებთ წარმოდგენას მატერიალური დანაკარგების შესახებ, რაც არც ისე ძნელი ასანაზღაურებელი უნდა იყოს რეკლამის პატრონებისათვის. გაცილებით უფრო რთულია მორალურ-ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ზიანის ანაძღაურება ხანდაზმული ადამიანისთვის.

მაგრამ ჩვენს აშლილ საზოგადოებაში მკაფიოდ შეინიშნება მოყვასის სიყვარულის ნაკლებობა, რასაც ყველასთვის მოაქვს აუნაზღაურებელი ზიანი. დროა, გავაცნობიეროთ ეს და ჩვენს პირად ინტერესებს ყოველთვის ნუ დავაყენებთ მოყვასის გაჭირვებაზე მაღლა. ამას თუ შევიგნებთ, ჩვენთვისაც უკეთესი იქნება. თორემ უსასრულო დავა აზოროტებს ადამიანს და ამრავლებს „ნეგატივს:, რაც ყველასთვის საზიანოა.

ეს პატარა შენიშვნაც სწორედ ამ ამბავმა დამაწერინა.

**მამუკა ალანია,**

**ავტორის ფოტო.**

გლობუსი

# საქმეს ვერ უშველის





**ბულმა, აფხაზურმა უკმაყოფილებამ, კრემლისათვის გაგზავნილი ლიხნის კოლექტიური წერილი შვა. გარდა ამისა, ვითარების ჩასახშობად აფხაზეთში ჩასული სკკპ ცკ-ს მდივნის კაპიტონოვის და საქართველოს კპ პირველი მდივნის შევარდნაძისადმი კვერცხებისა და პამიდვრების დაშენა გამოიწვია, რაც იმჟამინდელ საბჭოეთისათვის უპრეცედენტო მოვლენა იყო. საკითხის პოლიტბიუროზე განხილვის შემდეგ, ოფიციალური თბილისიდან მრავალი დათმობა განხორციელდა. მათ შორის საკადრო პოლიტიკის გადახედვა, აფხაზეთის უნივერსიტეტისა და ტელევიზიის შექმნა და სხვა. რის გაკეთებაც ზემოდან დაწოლის გარეშეც, გონივრული მმართველობის პირობებში, სრულიად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.**

გავიხსენოთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მოკლე ფრაგმენტიც – აჭარის ყოფილი ხელისუფლების მხრიდან თბილისის მიმართ გამუდმებული თხოვნა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე აჭარისათვის კვირაში ერთხელ ნახევარი საათის გამოსაყოფად. კამათი თბილისისათვის მიუღებელი შედეგით – აჭარის სატელიტური ტელევიზიის შექმნით დასრულდა. ღირდა ამ საკითხზე მრავალწლიანი დავა? უადგილო ადგილას გამოჩენილი სიჯიუტე, ჯიუტის მარცხით თავდება.

**გავიხსენოთ მეორე, ყბადაღებული მაგალითი, თავისუფალი ეკონომიკური ზნის შექმნის წინადადება, რომელიც 1995 წელს ბათუმიდან წამოვიდა. საკითხი სერიოზული დაპირისპირების საგნად იქცა ბათუმ-თბილისს შორის. ჩინელი სპეციალისტების მიერ მომზადებული კანონპროექტი 2003 წელს სახელისუფლო პარტიამ გულმოდგინედ ჩააგდო პარლამენტის სხდომაზე. მაშინ კანონპროექტის საწინააღმდეგოდ ნაციონალებიც გამოდიოდნენ. დღეს სხვა სურათია. პრეზიდენტის ინიციატივით უკვე ყალიბდება თავისუფალი ეკონომიკური ზონა. უფრო მეტიც, აფხაზეთისათვის შეთავაზებულ წინადადებებში მას მთავარი ადგილი უკავია. არადა 1995 წლიდან რა დრო გავიდა?**

საქართველოს პრეზიდენტის წინადადებები, რომ 1992 წელს გახმიანებულიყო, მაშინ, როცა აფხაზთა ლიდერი არძინბა თხოვდა თბილისს კონფედერაციული სისტემის ჩამოყალიბებას, არც სისხლი დაიღვრებოდა, არც ლტოლვილები გაჩნდებოდა და არც აფხაზები გამოაცხადებდენ თავს დამოუკიდებლად. 1992 წლიდან დაწყებული, ერთადერთი რეალობასთან ახლოს მყოფი ნაბიჯი იყო პუტინ-შევარდნაძის სოჭის შეხვედრა, რომელსაც ისევ ჩვენი ბედოვლათობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ფედერალიზმი, კონფედერალიზმი, რეგიონალიზმი და ყველა სხვა „იზმი“, პეკინ-ჰონგკონგის, პეკინ-მაკაოს ურთიერთობა, სხვა მრავალი მაგალითი საქართველოს არც ერთი ხელისუფლებისათვის არ გამხდარა სერიოზული შესწავლის საგანი. არსად ჩანდა და ჩანს თბილისის საგნობრივი ინიციატივა, მონდომება, მიზანსწრაფვა, სურვილი სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. პირიქით, იყო მუქარა, კონსტიტუციაში ავტონომიური ერთეულების გაუთვალისწინებლობა, გალის ავანტიურისტული მარულა და „განათლებული“ გელაევის და მისი ბოევიკების არანაკლები ავანტიურისტული შეტევა აფხაზეთზე. გარდა ამისა, იყო უამრავი კონფერენცია-შეხვედრები, საზღვარგარეთის ქვეყნებში და კონფედერენციებიდან დაბრუნებული ქართველი მომლაპარაკებლების „ბრძნული“ სატელევიზიო განცხადებები, მცდელობა იმისა, რომ საზოგადოებას შექმნოდა რაღაცის კეთების შთაბეჭდილება. თურქი დიპლომატისა და მწერლის ყარაოსმანოლლუსი არ იყოს, ეკრანზე ისეთი სახის შექმნა, თითქოს მავანმა ბევრი იცის, მაგრამ თავს იკავებს ყველაფრის გამჟღავნებისგან. თურქი ავტორი თავის წიგნში „უნებლიე დიპლომატი“ ისეთი დიპლომატის სახეს ქმნის, რომელიც ცდილობს საზოგადოებას თავი მცოდნედ მოაჩვენოს. მოჩვენებითობას ემსახურებოდა და ემსახურება გაურკვეველი სახის კონფლიქტების მოწესრიგების, ამჟამინდელი რეინტეგრაციის სამინისტროს შექმნაც. უფრო მეტიც, სამინისტროს არსებობის დროს აჭარის ლიდერისათვის აფხაზეთის საკითხის მოგვარების დავალება. დღიდან შექმნისა სამინისტროში მრავალი მინისტრი შეიცვალა, საქმე არ შეცვლილა.

**აფახაზებს იმედი გაუცრუვდათ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. ოთხი წლის განმავლობაში ოფიციალური თბილისის მხრიდან ყველაფერი გაკეთდა განდეგილების კიდევ უფრო დაშორებისათვის და დღევანდელი დაშაქრული საუბარი ვერ გადაწონის გუშინდელ მუქარას, ვინაიდან მისი დავიწყება სეპარატისტებს უჭირთ.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

**პოლიტოლოგი**

◎ ისრაელი — ახალი სახელმწიფო

# ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი...

ებრაელთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა დამოწმებული ქ. ქუთაისში. ისინი ეწევიან ხელოსნობასა და ვაჭრობას. ეს დარგები საკმაოდ იყო განვითარებული XIX საუკუნის 30-იანი წლების ქუთაისში. ქუთაისში ამ დროს არსებობდა ბაზარი (სავაჭრო რიგიძ, სადაც გარკვეულ დღეებში არამარტო იმერეთის, არამედ სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობას გასაყიდად შემოჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, შემოჰქონდათ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტი. ვაჭრობაში წამყვანი როლი ქართველ ებრაელებს ეკუთვნოდათ. ბევრი მათგანი საეკლესიო ყმა იყო. ზოგიერთ საბუთში შემონახულია საეკლესიო ებრაელთა სახელები. ასე, მაგალითად: დანიელა და გლახუნა ციციაშვილები, იცხაკ და შალომ კატაპარიაშვილები, არონ და იოსებ იაკობიშვილები, მამუჩელა და შაბათა ფიჩხაძეები, იცხაკ დათიაშვილი, დავით მოშიაშვილი, იოსებ ბაჩილაშვილი და სხვ. ისინი, ჩვეულებრივ, ებრაელთათვის დამახასიათებელ საქმიანობას ეწევიან და გამოსაღებს ფულით უხდიან ეკლესიას.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კარგად ჰქონდა განვითარებული საგარეო ვაჭრობა. გაჰქონდათ ყოველგვარი საქონელი, განსაკუთრებით საღდებოდა ბეწვი და ბეწვის ნაწარმი. შემოჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა, შალეული, ფაიფური, ჩაი, ყავა, ზეითუნის ზეთი, ჭურჭლეული, ხალიჩები, მარილი და სხვა. ქ. ახალციხეს რამდენიმე სავაჭრო გზა აკავშირებდა თურქეთთან. იქაური ებრაელები მოხერხებულად იყენებდნენ ამ საშუალებას. ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახა მასალა, სადაც ჩანს, რომ ზოგჯერ ქართველი ებრაელები კონტრაბანდასაც მიმართავდნენ, კონტრაბანდის საგანი რუსული ვერცხლის ფული იყო. ერთი ახალციხელი ებრაელი გაუსამართლებიათ კიდეც კონტრაბანდის გატანისთვის, გასატანი ვერცხლის კონფისკაცია არ უკმარებიათ და მნიშვნელოვანი ჯარიმაც დაუკისრებიათ.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მეფის მთავრობა (საქართველოს ანექსია რუსეთმა 1801 წელს მოახდინაძ ახალისებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თავისუფალი იყო სატრანზიტო ვაჭრობა. გადასახადების ტარიფები შეღავათიანი იყო. ამ დროს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, თურქეთთან. განსაკუთრებით ინტენსიური სავაჭრო კავშირი იყო ამ უკანასკნელთან. შეიკრიბებოდნენ ე.წ. „მესტამბოლე“ ებრაელები, ვაჭრები და გადიოდნენ თურქეთში, საიდანაც უხვად შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. საქონელი ევროპიდანაც შემოდიოდა, მაგრამ აზიური საქონლის წილი ბევრად მეტი იყო ევროპულზე.

ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანი მასა სახლობდა და მოსაქმეობდა ქ. გორში. ესენი იყვნენ ბატონყმობის უღელში შებმული გლეხები, სახელმწიფო და საეკლესიო ყმა გლეხები. გორში ვაჭრობა-ხელოსნობას სომხებიც ეწეოდნენ და გარკვეულ კონკურენციას უწევდნენ ქართველ ებრაელობას.

ებრაელთა ტრადიციული დასახლება გამოირჩეოდა ონში — რაჭაში. რაჭის ებრაელები ძირითადად წერეთლის ყმები იყვნენ. როგორც ჩანს, ზოგჯერ ბატონზე უკმაყოფილო ებრაელებს მისგან გაქცევა უცდიათ. ერთი საბუთი აგვიწერს შემთხვევას, როცა ბერი და მორდეხა შალელაშვილების ოჯახს, გაქცევის მცდელობის გამო, განურისხებია თავადი წერეთელი. შალელაშვილების ოჯახს გამოესარჩლნენ ონელი ებრაელები: ოსია, იაკობ და ბექი არონაშვილები. მათ „თავდებობის წერილი“ აახლეს ქაიხოსრო და ქველი წერეთლებს და ივალდებულეს, რომ შალელაშვილების ოჯახის ხელახალი გაქცევის შემთხვევაში გადაუხდიდნენ თავადებს 5 ქისა თეთრს, ან შეიპყრობდნენ გაქცეულებს და ბორკილდადებულს მიჰგვრიდნენ თავადებს.

თავისი ტრადიციებითა და ადათ-ჩვევებით ცხოვრობდნენ საჩხერელი, კულაშელი, სურამელი თუ სხვა კუთხის ებრაელები საქართველოში. აქ უკვე გამოირჩეოდნენ: მცირე ჯგუფი მდიდარი ვაჭრებისა, საშუალო შეძლების ვაჭრები და ძირითადად მეწვრილმანე ვაჭრები. მდიდარი (დიდიძ ვაჭრები ებრაელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავის სამსახურში იყენებდნენ. მათი დავალებით სოფელ-სოფელ სავაჭროდ დადიოდნენ ე.წ. „მესოფლე“ ებრაელები. ცხადია, მათ აქედან გარკვეული სარგებელი ჰქონდათ. ე.წ. „მესოფლე“, ანუ სოფელ-სოფელ მოვაჭრე ებრაელებიდან ზოგი „დღიური“ იყო, ე.ი. მათ საქონელი მდიდარი ვაჭრისაგან ერთი ან ორი დღით მიჰქონდათ ნისიად, გაყიდვის მერე კი ანგარიშს უსწორებდნენ. იყვნენ ე.წ. „კვირეულნი“, რომლებსაც საქონელი ერთი კვირით მიჰქონდათ ნისიად. ერთი კვირიდან ერთ წლამდე მიჰქონდათ საქონელი „ვადიანებს“.

ებრაელთა მოჯამაგირეობის გარკვეული სახე იყო ე.წ. „ყურბათობა“, რომელსაც ახასიათებდა შორეული, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. იგი ძირითადად ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა შორის იყო გავრცელებული. ზოგჯერ შეძლებული ებრაელი ვაჭარი იქირავებდა მეორე ებრაელს, რომელიც ზურგით ატარებდა საქონლით სავსე ბოხჩას (ტომარას, კალათასძ, ეხმარებოდა დამქირავებელს ვაჭრობაში, იცავდა საქონელს დაკარგვისაგან. ხშირად ასეთი დაქირავებული პირი იძულებული იყო 2-3 წლით დაეტოვებინა ოჯახი და თავის „პატრონს“ გაჰყოლოდა შორეულ ქვეყნებში (ხშირად სტამბოლშიძ სავაჭროდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი ებრაელები ვაჭრობასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ, განსაკუთრებით შინამრეწველობა ჰქონდათ განვითარებული. ისინი ქმნიდნენ ამხანაგობებს, სადაც 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა. ხელოსნებს შეთანხმება ჰქონდათ ვაჭრებთან საქონლის გაყიდვის თაობაზე. ვაჭარს შემოჰქონდა ნედლეული, რომელიც საქონლის სახეს იღებდა ხელოსნის ხელში. შემდეგ უკვე იგივე ვაჭარი მზა პროდუქციას ჰყიდდა და, ცხადია, გარკვეულ მოგებას ნახულობდა. ხელოსნობა განსაკუთრებით დაწინაურდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნეში საქართველოში სახლდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული ევროპელ ებრაელთა ჯგუფები.

რუსეთის მთავრობა მთელ იმპერიაში აღვივებდა ანტისემიტიზმს. იგი საქართველოშიც ახერხებდა სხვადასხვაგვარი პროვოკაციის მოწყობას. ყოველივე ეს პროვოცირებული იყო და იმისთვის კეთდებოდა, რომ ქართველები და ებრაელები დაეპირისპირებინათ, ქართველებში შუღლი გაეღვივებინათ ებრაელების მიმართ და მათ გასწორებოდნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საღად მოაზროვნე ქართველები ებრაელებში თანამოძმეს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს ხედავდნენ და მათთან ძმურად ცხოვრებას აგრძელებდნენ.

თვით ებრაული მოსახლეობა, ქართველ ებრაელთა გამოჩენილი მოღვაწეები (ასეთები, საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის მრავლად იყვნენძ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მთელ მსოფლიოში საქართველო არის ის გამორჩეული ქვეყანა, ქართველები არიან ის ხალხი, რომელთაც ებრაელების მიმართ ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე ღრმა პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს. მხოლოდ აქ, ამ ერთადერთ ქვეყანაში არ ყოფილა ანტისემიტიზმი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქართველმა ებრაელობამ შეინარჩუნა იუდაისტური რელიგია. ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა ქალაქსა თუ დაბაში სინაგოგებია აგებული, სადაც მათ სათანადო რელიგიური რიტუალების შესრულების ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ებრაელობას. 1912 წელს აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭალეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთო“. ქართველი ებრაელები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ პოეტს. ეს ნათლად გამოსჭვივის ონელი ებრაელობის მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი (დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“, 1912 წ. 8 სექტემბერსძ:

„დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენი ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენ ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელებს და ქართველებს ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან, მონაწილეობა მიგვეღო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში და ზეიმში ... მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება გარდა სარწმუნოებისა“.

შემთხვევით არ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ... უკანასკნელ დროს და ახლაც არც ერთ უფლებას არ იყვნენ მოკლებული, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“ (ჟურნალი „ივერია“, 1881 წ.ძ.

XX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო დაბალი ფენების მოძრაობა. 1905 წლის რევოლუცია საქართველოსაც მისწვდა. საქართველოს ებრაელთა მდიდარი ნაწილი ქართველ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად წინ აღუდგა რევოლუციას და ფარულად თუ აშკარად ებრძოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთგვარი ყურადღება მიექცა ებრაელებს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 25 მარტს მიიღო დადგენილება „ებრაელთა უღარიბესი ნაწილის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის ძალითაც ებრაელებს საშუალება მიეცათ მოეწყოთ სახარაზო, სამკერვალო, საფეიქრო, სადურგლო, საწარმოო-სამშენებლო და სხვა ტიპის არტელები; მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა ახლადამუშავებულ საწარმოებში (მაუდის ქარხანა, ძაფ-

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 84.**



## ◎ ისრაელი — ახალი სახელმწიფო



საწნევი ფაბრიკა და სხვ.ძ ებრაელი მოსახლეობის ჩაბმა. ებრაელ ახალგაზრდებზე დაწესდა ჯავშანი და დაიგეგმა ყოველწლიურად პროფსკოლებში ებრაელი ახალგაზრდების მომზადება.

XX საუკუნის 30-იან წლებში ყურადღება მიექცა ღარიბ ებრაელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: ბავშვები მაქსიმალურად ჩააბეს სკოლაში, კომპაქტურად დასახლების ადგილებში მოეწყო ქოხ-სამკითხველოები. ებრაელი მოსწავლეებისათვის საშუალო და უმაღლეს სკოლებში გადიდდა სტიპენდიები.

ქართველი ებრაელებისთვის, როგორც საერთოდ ყველა ხალხისთვის, უმძიმესი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ ებრაელთა ცხოვრება საერთო საქვეყნო რიტმსა და ვითარებაში მიმდინარეობდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ებრაელობას მიეცა საშუალება, მრავალმხრივ გამოეჩინა თავი. ისინი გამოირჩევიან მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: მათემატიკასა თუ ფიზიკაში, ფილოლოგიასა თუ ზოგადად ორიენტალისტიკაში, არქიტექტურასა თუ ლიტერატურაში, თეატრსა თუ კინოში.

1960-70-იანი წლებიდან დაწყებული ბევრი ქართველი ებრაელი გადასახლდა როგორც ისრაელში, ისე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ მათ საქართველო არ დავიწყებიათ და დღესაც მეორე სამშობლოდ თვლიან.

დღესდღეობით საქართველოში 10 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს. ქართველ ებრაელებთან ერთად აქ არიან აშკენაზები (დაახლოებით 2-3 ათასი კაციძ. ქართველ ებრაელთა ორი მესამედი თბილისში ცხოვრობს. 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია, რომელიც დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს, ამ ასოციაციის წარდგინებით, 1992 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით, აღდგა დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი. 2003 წელს შეიქმნა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც კოლექტიური წევრია ევრაზიული ებრაული კონგრესისა. არსებობს „მაკაბის“ ქართული განყოფილება, კალათბურთელთა კლუბი „მაკაბი“. 1998 წელს შეიქმნა სადისკუსიო კლუბი „26 საუკუნე“. ჯოინთის პატრონატით მოქმედებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ-ელიახუ“, რომელსაც თავისი წარმომადგენლობები აქვს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ონში და გორში. არსებობს ქართველ ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაცია, ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაცია „მირიამი“, ქალთა ორგანიზაცია „ლეა“, ებრაული სკოლები და საბავშვო ბაღები.

ჯოინთისა და სოხნუთის მხარდაჭერით გამოდის ებრაული გაზეთები: „მენორა“, „შალომ“ და „26 საუკუნე“. საქართველოში რელიგიური თემები არსებობს: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს გაფორმდა თანამშრომლობის შეთანხმება ებრაული თემისა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამ შეთანხმებით იუდაიზმი აღიარებულია საქართველოს ერთ-ერთ ტრადიციულ რელიგიად. ფუნქციონირებს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება.

2003 წელს თბილისში გაიხსნა ებრაული სახლი, სადაც რეგულარულად ტარდება სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები. 1992 წლიდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს ისრაელთან (2005 წლიდან საქართველოში ისრაელის ელჩია შაბთაი ცურიძ. ქვეყანაში ინტენსიურად შეისწავლება იუდაიკა.

ქართველ-ებრაელთა მეგობრული ურთიერთობის ჭეშმარიტი ზეიმი იყო ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 2600-წლოვანი იუბილე, რომლის დროსაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ქართველი და ებრაელი (ქართველი ებრაელიძ ხალხის მეგობრობა მარადიულია.

ისრაელის სახელმწიფოს 60 წელი ამ უძველესი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. ფაქტია, რომ უკანასკნელი ექვსი ათწლეულის მანძილზე, წინა საუკუნეების რეალიებთან შედარებით, ებრაული პრობლემატიკის ვექტორი 180 გრადუსით შემობრუნდა. ამჟამად აღარ არის მთელს მსოფლიოში ებრაელთა არსებობის პრობლემა. დღესდღეობით განმტკიცება სჭირდება ისრაელის სახელმწიფოს. ებრაული სახელმწიფოს შექმნის მიზანი ებრაელთათვის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ისრაელის სახელმწიფომ ურთულეს, ფაქტობრივად მუდმივ საომარ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში, შეძლო ქვეყანაში ალიაქმნილი (შინდაბრუნებულიძ მოსახლეობისათვის უსაფრთხო თავშესაფრისა და მშვიდობის უზრუნველყოფა.

ვუსურვოთ წარმატებები ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელ ხალხს.

**რონ მეტრეველი,**
**საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე**

## ◎ სარკინიგზო ომი

***ამ ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. არც ის, რომ საქართველო საკუთარი ხელისუფლების უნიათო პოლიტიკის გამო ქვეყნის სიმდიდრეებს და უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს ნელ-ნელა და მიზანმიმართულად კარგავს, სხვები კი მათ ასევე მიზანმიმართულად იტაცებენ, იერთებენ და ძლიერდებიან. დაკარგულია, აბა სხვა რა შეიძლება უწოდო იმას, როცა მიწის, ტყის, წყლის გაყიდვას დაიწყებ, ენერგეტიკულ ობიექტებს უცხოთა მფლობელობაში მოაქცევ, ისეთ დიდადშემოსავლიან დარგს, როგორიც რკინიგზაა, ვერ მოუვლი, გააკოტრებ და გასასხვისებლად გაიმეტებ...***

გაიმეტებ და აგერ არ არის ჩასაფრებული ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი, რომელიც ძორივით იმზირება ასეთი ობიექტების წიწილასავით მოსატაცებლად. მე შენ გეტყვი, დანამუსდება, იფიქრებს, ისიც მეყოფა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წართმევის მუქარით საქართველოს ცხარე ცრემლით რომ ვატირებო და თავს გაგანებებს. არა, თუ მთავრობას ოპოზიციური ძალების პროტესტისა შეეშინდება და რკინიგზის გაყიდვას დროებით გადაიფიქრებს, მაშინ შორი გზით შემოგივლის, სადაც ვიწროა იქ გიყელებს და მესვეურები, ვითომც ეს ფაქტი არ იცოდნენ, გულუბრყვილოდ აცხადებენ: ვერ გაგვიგია, რა შუაშია რუსეთი, შეღავათები სომხურ კომპანიას ჰქონდა და არა „რუსეთის რკინიგზასო“. მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ ქოჩარიანის პრეზიდენტობის ხანაში რუსეთმა მოახერხა იაფად ხელში ჩაეგდო სომხეთის ყველა დიდი სამრეწველო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ობიექტი, მათ შორის „სომხეთის რკინიგზაც“, რომელიც სს „რუსეთის რკინიგზამ“ შეიძინა.

გაუგებარია, რა არის ამაში გასაკვირი, ვითომ რუსეთმა ლოს გავლით, საბერძნეთისა და იტალიისთვის გაზსადენის მშენებლობაზე, ტრანსკასპიურ მილსადენ „ნაბუკოზე“, რომელიც შუა აზიის ენერგორესურსებს ევროპასთან დააკავშირებს. „ნაბუკოს“ საწინააღმდეგოდ რუსეთს ჩაფიქრებული აქვს ე.წ. „სამხრეთის ვარიანტი“, რომლის განსახორციელებლად უზარმაზარ თანხებს ხარჯავს.

ჩვენი კეთილისმყოფელი მეზობელი ასევე დიდი რაოდენობით აბანდებს თანხებს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზაში“. მას ამ ორგანიზაციის გაფართოებაში უკვე დახარჯული



# რუსეთი ძორივით გვიმზერს!

სხვა თუ არაფერი, შემოსავლებს მაინც დაგაკარგვინებს.

ექსპერტები ერთ-ერთ ასეთ გზად მიიჩნევენ სამომავლოდ სს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის“ ფუნქციების გაფართოებას. მათი აზრით, რუსეთი ამას პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც მოახერხებს, თანაც საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების ხარჯზე. საამისო საბაბიც გამოჩნდა. როგორც პრესაში გაჟონა, წლეულს 1 მარტიდან საქართველოს რკინიგზაზე სომხური სატრანზიტო გადაზიდვებისთვის ყველა შეღავათი გაუქმდა. „სომხეთის რკინიგზის“ თავკაცები, რომლებიც აქამდეც არ იყვნენ კმაყოფილი არსებული სატრანზიტო შეღავათებით, ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაანაწყენა. აქ საქმეში არც თუ შემთხვევით ჩაერია სს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის“ ადმინისტრაცია, რომელიც დსთ-ის ქვეყნების სატარიფო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგია, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის პოზიცია ნაკარნახევია „რუსეთის რკინიგზის“ ინტერესებით, რომელიც „სომხეთის რკინიგზის“ კონცესიონერია.

„საქართველოს რკინიგზის“ ჩვენი მთავრობის უთაურობის გამო საქართველოთი ნაკლებად იხეირა?!

არც იმაში იქნება რაიმე უცნაური, რომ სატრანზიტო შეღავათების გაუქმებით დაზარალებულმა სომხეთმა რუსეთს დახმარება სთხოვოს და ამ უკანასკნელმაც ხელი გაუწოდოს. აკი გაუწოდა კიდეც, მან სომხეთი, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს, ჩართო ახალ სამარშრუტო პროექტში. ამ პროექტის მიხედვით იქნება ახალი საბორნე ხაზი, რომელიც ვარნას, ილიჩევსკს, ნავსადგურ „კავკაზს“, ფოთსა და სტამბოლს ერთმანეთთან დააკავშირებს. არ გაგიკვირდეთ, თუ რუსეთი ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, სომხეთს ფოთის ნავსადგურით შეღავათიან სარგებლობას შესთავაზებს.

რუსეთი ალბათ არც იმას იუკადრისებს, თუ ერთი მხრივ, ერევნის მოვლენებისა და ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებით ისარგებლებს (ისევე როგორც სარგებლობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარებითძ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩაშლის პროექტებს, რომლებშიც საქართველო აქტიურად მონაწილეობს. კერძოდ, ლაპარაკია ბაქოდან, საქართვე-

აქვს 565 მილიონზე მეტი დოლარი, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ თურქეთთან ბლოკირებული მარშრუტის გახსნა და რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენაც მოხერხდა, მაშინ რუსეთი ამ საქმეში ორმილიარდიანი თანხის გაღებასაც არ დაიშურებს.

სწორადაც მოიქცევა. ექსპერტთა გამოთვლებით, უახლოეს წლებში ევროპის ქვეყნებში გაზის მოხმარება ამჟამინდელი 500 მილიარდი კუბმეტრიდან 700 მილიარდ კუბმეტრამდე გაიზრდება, რაც კავკასიაზე გამავალი რკინიგზების, გაზისა თუ ნავთობსადენების როლის ზრდის უდიდეს პერსპექტივაზე მიგვანიშნებს. **და ამ დროს, „საქართველოს რკინიგზას“, რომელიც ათობით მილიარდიანი კავკასიური პროექტების არსებითი და გადამწყვეტი რგოლია, ჩვენი უქნარა ხელისუფლება გაყიდვას უპირებს და მორიგი ფულის ჩასაჯიბად სარფიან ინვესტორს ეძებს.**

**არ გაგიკვირდეთ, თუ ეს სარფიანი ინვესტორი ამჯერადაც რუსეთი აღმოჩნდება და რკინიგზის სახით საქართველოს ახალ სიმდიდრეს დაეპატრონება.**

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ ინფორმაცია

# მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს ზურაბიშვილი უგულავას მეშვეობით გადაწყვეტს

**7 მაისს რესპუბლიკური პარტიის დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატმა დავით ზურაბიშვილმა თბილისის მერიაში გიგი უგულავას სახელზე განცხადება შეიტანა. იგი წყალტუბოს ქუჩა №25-ში მცხოვრები 55 ოჯახისთვის პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. ზურაბიშვილის თქმით, ის იმყოფებოდა აღნიშნულ მისამართზე და შენობა, სადაც 55 ოჯახი ცხოვრობს საცხოვრებლად გამოუსადეგარია.**



**— ამ საცხოვრებელში არსებულმა ვითარებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წყალტუბოს №25-ში სამსართულიან სახლში მცხოვრები ოჯახების გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრებენ. ამიტომ მივმართავ დედაქალაქის მერს, რათა დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები და მოსახლეობას ალტერნატიული ფართი მიეცეს, ან დაიწყოს მშენებლობა. რაც იქ ხდება, კარგად გამოხატავს ხელისუფლების დამოკიდებულებას მოსახლეობისადმი, — განაცხადა ზურაბიშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გამაფრთხილებელი გასროლა მოსკოვიდან?



სარაევოში ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობამდე არავის წარმოედგინა, რომ ამ მოვლენას შეეძლო გამოეწვია პირველი მსოფლიო ომის დაწყება. ეჭვი მეპარება, რომ „გასროლამდე, რომლის ხმაც მთელმა მსოფლიომ გაიგონა“, მე-18 საუკუნის კონკორდი ივარაუდებდა, შესულიყო ისტორიაში, როგორც ადგილი, სადაც დაიწყო ამერიკის რევოლუცია. უქმე დღეებამდე, როდესაც რუსეთის საინფორმაციო სააგენტო იტარ-ტასმა განაცხადა — რომ საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს აფხაზეთში შეჭრა, არავის არც კი უფიქრია აფხაზეთზე.

თუ თქვენ არასოდეს გაგიგონიათ აფხაზეთის შესახებ, ნუ ღელავთ: შეიძლება მთელი დარწმუნებით ვთქვათ, რომ იგი, ალბათ, ვერ გახდება პრიორიტეტული ბევრისთვის თეთრ სახლში. მისი სახელი არც კი უხსენებიათ საჩოთირო საკითხებს შორის, როგორიც იყო, მაგალითად, ასეთი: „შეგიძლიათ დაასახელოთ გენერლის სახელი, რომელიც ხელმძღვანელობს პაკისტანს?“, რაც გაისმოდა კამპანიის მსვლელობის დროს. მაგალითად, აფხაზეთთან, მთიან ყარაბაღთან, დაღესტანთან, სამხრეთ ოსეთთან და სხვა დანარჩენ მივიწყებულ რეგიონებთან, ქალაქებთან და მიკროსახელმწიფოებთან ერთად, განეკუთვნება იმ კატეგორიას, რაზეც არავის სურს დაფიქრება, მაგრამ, სადაც სინამდვილეში, მართლაც, რაღაც საშინელებები ხდება.

ცნობისათვის: აფხაზეთი — საქართველოს პროვინციაა, რომელმაც 1992 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამას მოჰყვა მცირე ომი, შემდეგ აფხაზეთის ქართველთა ეთნიკური წმენდა. გაერომ მიიღო მთელი რიგი ზომები სამშვიდობო მოწესრიგებისათვის, საქართველო შეეცადა შეეთავაზებინა აფხაზეთისათვის ფართო ავტონომია, მაგრამ, უმეტესწილად, საქართველო და აფხაზეთი იმყოფებიან საგანგაშო საპატო სიტუაციაში, რაც ზოგჯერ გადაიქცევა ხოლმე უკიდურესად საპატო სიტუაციად. ეს ჩვეულებრივად ხდება, როცა უაღრესად საგანგაშო ატმოსფერო ხელსაყრელია რუსეთისათვის, რომელიც აფხაზეთის ყველაზე მახლობელი სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირეა და დაინტერესებულია იმით, რომ მოხდეს პროამერიკული, პროდასავლური და პრონატოური საქართველოს ხანგრძლივი დესტაბილიზაცია.

ამრიგად, როდესაც რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან იმის შესახებ, რომ საქართველოს სურს აფხაზეთში შეჭრა, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ საქართველოს ნამდვილად სურს აფხაზეთში შეჭრა. მაგრამ ეს შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს იმასაც, რომ, როგორც მიიჩნევენ რეგიონშიც, რუსეთს სურს შეიჭრას საქართველოში — რასაკვირველია, „პრევენტული დარტყმის“ სახით.

რისთვის სჭირდებათ ეს რუსებს? რთული საკითხია — რუსეთის პოლიტიკა სულ უფრო გაუმჭვირვალე ხდება. ზოგიერთს მიაჩნია, რომ რუსეთმა უკანასკნელი კვირეების მანძილზე დაიწყო აფხაზეთში წყლის ამღვრევა ნატოს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ანდა იმის პასუხად, რომ მიაყენოს სწრაფი დარტყმა, თუკი ნატო თავის უკანასკნელ სამიტზე გადაწყვეტს, გაუხსნას საქართველოს პირდაპირი გზა მისი წევრობისაკენ, რისთვისაც ასე იღვწის პრეზიდენტი ბუში. მეორენი მიიჩნევენ, რომ უკანასკნელი პერიოდის განცხადებები რუსეთისა, რომელთა ნაწილი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასია, დაკავშირებულია ამ კვირაში გათვალისწინებული ახალი პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის ინაუგურაციასთან. შეიძლება, მედვედევს სურდეს, თავიდანვე აჩვენოს თავისი სიმკაცრე. ანდა, იქნებ, ვინმეს სურს წარმოაჩინოს მედვედევის სიმკაცრე მისი სახელით. ნებისმიერ შემთხვევაში, ვიღაცამ — აფხაზებმა ან რუსებმა — უკანასკნელი ექვსი კვირის მანძილზე ჩამოაგდეს სულ ცოტა ორი, შეიძლება, ოთხი უპილოტო ქართული თვითმფრინავი.

შეიძლება აქედან არაფერი გამოვიდეს — ქართველები ლაპარაკობენ, რომ მათ არ აქვთ განზრახვა ომის გამოცხადებისა. მაგრამ, მაისში საქართველოში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, ქვეყანას კი მართავს პრეზიდენტი, რომელიც შეიძლება მადლობელიც კი დარჩეს ამისათვის და გამოიყურებოდეს გაბედულად. თუ პროვოკაციამ მიაღწია მიზანს, თუ რუსეთი ნამდვილად შეიჭრება საქართველოში, ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელიც ისწრაფვის ნატოსკენ, რომელმაც გაგზავნა ჯარები ერაყში და ბევრჯერ მიიღო უსაფრთხოების იმპლიციტური გარანტიები ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან — მაშინ დასავლეთს მოუწევს გასცეს მასშტაბური პასუხი, თუ არა სამხედრო — დიპლომატიური მაინც.

ეს ყველაფერი ხდება ყველაზე უხერხულ მომენტში. ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში ბევრი სასწაულებრივი მოვლენებია, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე სასწაულებრივი მათგან არის ის, თუ რა ენერგიას იღებს საპრეზიდენტო კამპანია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამ მომენტიდან იანვრამდე პრეზიდენტი — „კოჭლი იხვია“: შეუძლია მას გასცეს გადამჭრელი პასუხი რუსეთის შეჭრას აფხაზეთში, თუ კი ეს მოხდება? შეუძლია კი ვინმეს განიხილოს რთული საქმე დედამიწის სრულიად ახალ ნაწილში? გასულ უქმე დღეებში ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უპრეცედენტო ყურადღება გამახვილებული იყო გუამის კუნძულის პრაიმერიზზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4500 კაცმა და სადაც ბარაკ ობამამ გაიმარჯვა 7 ხმის უპირატესობით.

რასაკვირველია, სხვა მხრივ მომენტი შერჩეულია ყველაზე ხელსაყრელი: რა არის იმაზე უკეთესი, თუკი გსურთ დაესხა თავს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეს, ან უბრალოდ, მოახდინო ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირის უბრალო დესტაბილიზაცია და წაართვა მას გაბედულება? ალბათ, თუ რუსები არა, ვინმე სხვა მაინც ისარგებლებს ამ შესაძლებლობით. „კონკორდი“ — ქალაქია მასაჩუსეტსში, ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი პირველი შეტაკებისა. „გასროლა, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიგონა“, — ეს არის რ.უ. ემერსონის ლექსის ერთ-ერთი სტრიქონი, რომელიც ეძღვნება კონკორდთან ბრძოლას.

„შეგიძლიათ თუ არა, დაასახელოთ იმ გენერლის სახელი, რომელიც ხელმძღვანელობს პაკისტანს?“ — ეს არის შეკითხვა, რომელიც 1999 წელს მისცეს ჯორჯ ბუშს ერთ-ერთ ინტერვიუში (პრეზიდენტობის კანდიდატმა მასზე პასუხი ვერ გასცა).

ანა აპელბაუმი

The Washington Post

# აფხაზეთში რუსეთის 400 მედესანტე შევიდა

— მათ დაუსახეს ამოცანა, მკაცრად უპასუხონ ნებისმიერ აგრესიას საქართველოს ძალოვანების მხრიდან, — აცნობეს „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო-სადესანტო ჯარების შტაბში. — მედესანტეები ჩამოვიდნენ აფხაზეთში საშტატო შეიარაღებით — ავტომატებით, ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცნებით.



ამას გარდა, რესპუბლიკაში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის „ცისფერჩაფხუტიანებთან“ ერთად გადაისროლეს დაახლოებით 30 სამხედრო სადესანტო მანქანა ბმდ-2, არტილერია და საზენიტო დანადგარები. მთელ ამ შეიარაღებას ევალება, „უზრუნველყოს რუსეთის სამშვიდობოებისათვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია ეწევიან სამხედრო სამსახურს აფხაზეთში, ნორმალური პირობები დასახული ამოცანების დაუბრკოლებელი შესრულებისათვის“.

როგორც ჩვენ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამმართველოში განგვიმარტეს, რუსეთი ამასთან არ ზრდის დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებთან შეთანხმებულ სამშვიდობოების ოდენობას აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონაში. თუმცა ქართული მხარე ამას კატეგორიულად არ ეთანხმება. თბილისში უკვე მოითხოვეს, გაიყვანონ დამატებითი ჯარები აფხაზეთიდან.

ამავე დროს მედესანტეებმა უკვე დაიწყეს ახალი სამსახურის ადგილის ათვისება. როგორც „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო სადესანტო ძალების შტაბში აცნობეს, ოცეულის ორი მედესანტე პარაშუტისტი გაიგზავნა № 402 (დასახლებული პუნქტი არასაძიხიძ და № 403 (სარკინიგზო ხიდი სოფელ აკამარას რაიონშიძ სამეთვალყურეო პუნქტებზე.

ალექსანდრ კოცი

Комсомольская правда

# აშშ რუსეთს დაბეჯითებით ურჩევს, საქართველოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი გააუქმოს

ამერიკის შეერთებულ შტატებში „არავის არ სურს საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირების გაძლიერება. ამიტომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია სთხოვს რუსეთის მხარეს, გააუქმოს თავისი მთელი რიგი გადაწყვეტილებანი საქართველოსთან დაკავშირებით“, — ამის შესახებ სამშაბათს ვაშინგტონში განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკორმაკმა.

„არავის არ სურს საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ესკალაციის ხილვა“, — განაცხადა მაკორმაკმა. ამერიკელი დიპლომატის სიტყვებით, რუსეთის მიერ განხორციელებული ღონისძიებები უკანასკნელი კვირეების მანძილზე „არ იყო სასარგებლო რეგიონისთვის“. ამიტომ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სთხოვდნენ რუსეთს, გააუქმოს ზოგიერთი მათგანი.

„თუ ამ უკანასკნელ დროს დააკვირდებით, დაინახავთ რუსეთის პროვოკაციულ მოქმედებათა ნახატს საქართველოსთან მიმართებაში, განსაკუთრებით აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით“, — განაცხადა მაკორმაკმა.

ამასთან ერთად მან კვლავ გამოხატა ამერიკის შეერთებული შტატების ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა.

შეგახსენებთ, რუსეთი ცალმხრივი წესით გამოვიდა დსთ-ს საფინანსო-ეკონომიკური, სატრანსპორტო და სხვა სანქციებისაგან აფხაზეთთან დაკავშირებით. მოსკოვის მომდევნო ნაბიჯი გახდა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობაში ახალი პირდაპირი კავშირების დამყარება.

მშვიდობას საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში იცავენ რუსი სამხედროებისგან დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალები. მოლაპარაკებანი კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე შეწყდა 2006 წელს.

Росбалт

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო, ნატო და მედვედევი



**რუსეთი მეზობელ საქართველოსთან კატა-თაგვობანას თამაშობს, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს გამანადგურებელ შედეგებამდე, თუკი მხარეები არ გამოიჩენენ წინდახედულობას.**

კრემლი არასოდეს ყოფილა საქართველოთი კმაყოფილი მისი პროდასავლური შეხედულებების გამო და გაბრაზებული იყო მისი სწრაფვით ნატოსაკენ. მოსკოვის მკაცრი წინააღმდეგობის გამო ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გასულ თვეში გადაწყვიტა, გადაედო მოლაპარაკებები საქართველოს მასში შესვლასთან დაკავშირებით. იმის ნაცვლად, რომ დამშვიდებულიყო, მოსკოვმა შეაფასა ეს, როგორც დადასტურება, რომ მისი დაშინება შედეგიანია და გადაწყვიტა მომავალშიც დაემუქროს და შეაშინოს, ვინც საჭიროა.

დასაწყისში რუსეთმა გამოაცხადა თავისი გეგმების შესახებ საქართველოს თვითგამოცხადებულ ორ პრორუსულ რეგიონთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. გასულ კვირას მან აფხაზეთში გაგზავნა ასობით დამატებითი „სამშვიდობოები“. რუსეთის ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ჯარები საჭიროა პროვინციის დასაცავად ქართული შეტევისაგან და აღნიშნეს, რომ კონტინგენტი არ გადააჭარბებს 3 ათას კაცს იმ შეთანხმების მიხედვით, რომელიც მიღებული იქნა 1994 წელს გაეროს შუამდგომლობით. ჯარების განთავსება თითქმის აშკარა დარღვევა იყო სამშვიდობო მანდატისა, ვინაიდან მოხდა იგი საქართველოსთან შეუთანხმებლად.

საქართველო აგრეთვე ამტკიცებს, რომ რუსეთის გამანადგურებელმა მიგ-29-მ ჩამოაგდო მისი ერთ-ერთი უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატი აფხაზეთის თავზე. მოსკოვი უარყოფს ამ ბრალდებებს.

რუსეთის შემდგომმა პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა, რომელმაც 7 მაისს დადო ფიცი, უნდა გამოიჩინოს სიფხიზლე წესრიგის დასამყარებლად. მან უნდა მისცეს განკარგულება თავის თანაშემწეებს, რომ შეამსუბუქონ სიტუაცია და დაიწყონ დიალოგი საქართველოსთან უმაღლეს დონეზე. გაურკვეველია, იმოქმედებს თუ არა მედვედევი თავად, თუ იგი იქნება, უბრალოდ, პუტინის კაცი, მაგრამ ასეთი გზით მას შეუძლია დაამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა.

საქართველოს ლიდერებმა არ უნდა მისცენ მოსკოვს საშუალება, ჩაერთოს ომში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, ეჭვსგარეშეა, მოუწევთ დაემშვიდობონ თავიანთ ოცნებას ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. მათ უნდა გადასინჯონ თავიანთი ამასწინანდელი დაშინება, რომ დაბლოკავენ რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მიიღებენ სერიოზულ ზომებს აფხაზეთთან დაძაბულობის შესამცირებლად, შესთავაზებენ მას ეკონომიკურ განვითარებას და პოლიტიკურ ავტონომიას. გაეროს უშიშროების საბჭომაც უნდა განიხილოს საკითხი რუსეთის სამშვიდობოების შეცვლის შესახებ აფხაზეთში ნამდვილად დამოუკიდებელი ჯარებით.

ნატომ უნდა ითანამშრომლოს ორივე მხარესთან მზარდი კრიზისის შესამსუბუქებლად. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საფრანგეთსა და გერმანიას, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ საქართველოს ნატოში შესვლისათვის გადასადგმელი ნაბიჯების გადადებას სხვა დროისათვის. მათ შეეძლებათ დასაწყისისათვის გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები მედვედევთან შესახვედრად და აშკარად აცნობონ მას, რომ ისინიც და ნატოს დანარჩენი ნაწილიც ემხრობა საქართველოს უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას – და ყურადღებით გაადევნებენ თვალს იმას, თუ როგორ გაართმევს ახალი პრეზიდენტი თავს ამ პირველ კრიზისს.

The New York Times
ON THE WEB

# საქართველომ რუსეთის სამხედრო ვალდებულება აღიარა

**რუსეთმა გასაგებად განაცხადა, რომ მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ არ დაუშვებს აფხაზეთის თავზე ქართული ავიაციის ფრენას, რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების შტაბმა კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის მედესანტეებს, რომლებმაც**



**შეავსეს სამშვიდობო კონტინგენტი ულიარებელ რესპუბლიკაში, დაევალათ „მკაცრი რეაგირება მოახდინონ საქართველოს ძალოვანების მხრიდან აგრესიაზე“.**

ომის მზარდი ალბათობის შესახებ ლაპარაკობენ საქართველოს ხელისუფლებაში. ბრიუსელში მყოფმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა პირველად განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „ახლოსაა“ რუსეთთან ომში, და მოუწოდა ევროკავშირს, დაეხმაროს მისი თავიდან აცილებაში.

მოსკოვიდანაც და თბილისიდანაც გაისმა განცხადებები, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დაპირისპირება აფხაზეთთან დაკავშირებით შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო დაპირისპირებაში. რუსეთის მხრიდან მთავარ ნიუსმეიკერებად ამჯერად გამოვიდნენ არა დიპლომატები და პოლიტიკოსები, არამედ მაღალი თანამდებობის მქონე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც გუშინდლამდე თავს იკავებდნენ ულიარებელი რესპუბლიკის გარშემო შექმნილი სიტუაციის კომენტირებისაგან. ტონი მისცა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ შამანოვმა. მან განაცხადა, რომ რუსეთის სამხედროები მეტად აღარ მისცემენ უფლებას საქართველოს სამხედრო ავიაციას, შეასრულოს ფრენები საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონის თავზე. „თუ ადრე ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ ეს მისი უპილოტო თვითმფრინავები არ არიან, ამჯერად იგი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას, აცხადებს, რომ მისი საფრენი აპარატები მომავალშიც იფრენენ კონფლიქტის ზონაში. ასეთი ნაბიჯები მოსკოვის შეთანხმების აშკარა დარღვევაა და ჩვენ არ მივცემთ მათ ასეთი ფრენების განხორციელების საშუალებას“, – განაცხადა გენერალმა. მან დაუმატა აგრეთვე, რომ სიტუაცია კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხედველობის ქვეშაა და „ყველა საჭირო ღონისძიება უკვე ხორციელდება“.

რა ღონისძიებებზეც იყო საუბარი, აშკარა გახდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო-სადესანტო ჯარების შტაბის განცხადებიდან, რაც გაავრცელეს რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა. ისინი იუწყებოდნენ, რომ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ჩარჩოებში გაგზავნილია რუსეთის 400-ზე მეტი მედესანტე. მათ განკარგულებაშია 30 სამხედრო მანქანა ბმდ-2, საარტილერიო იარაღები და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებანი და სხვა შეიარაღება.

ამით რუსეთის სამხედროებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ამიერიდან აფხაზეთი იმყოფება რუსეთის ფედერაციის სამხედრო მფარველობის ქვეშ. უფრო მეტიც, თუ საჭირო გახდება, სოხუმის დაცვას დაიწყებენ არა მხოლოდ დსთ-ს სამშვიდობოები, არამედ რუსეთის თავდაცვის სამინისტროც.

საქართველოში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ამჟამინდელ დაპირისპირებაში მათ დასავლეთის დიდი იმედები აქვთ. „ჩვენ არ ვაპირებთ ომს და არც ვიომებთ. ჩვენ გვსურს ყველაფერი მოვაგვაროთ დიპლომატიურად. და რუსეთმა ამჟამად მოგვცა შესანიშნავი შანსი, ვაჩვენოთ მსოფლიოს, თუ როგორია რუსეთის სამშვიდობოების რეალური სახე. მოსკოვი ირწმუნება, რომ დამატებითი ძალები იქ გადასროლილია უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ ეს ხომ გაკეთდა იმისათვის, რათა არ მოხდეს სამხედრო ოპერაციების დაწყება და თანაც დაიცვან აფხაზეთი სამხედრო ძალით. ეს ჰგავს საბჭოთა ჯარების შეყვანას ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში. სამწუხაროდ, იგივე ფილოსოფიას ვადევნებთ ამჯერადაც თვალს“, – განუცხადა „კომერსანტს“ საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო კომიტეტის მეთაურმა კონსტანტინე გაბაშვილმა.

ვლადიმერ სოლოვიოვი,
გიორგი დვალი

Коммерсантъ

# თეთრმა სახლმა დაგმო მოსკოვის მოქმედებანი საქართველოსთან დაკავშირებით




**ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ სამშაბათს დაგმო აფხაზეთში რუსეთის ჯარების დამატებითი შეყვანა და საქართველოს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავების განადგურება. მისი აზრით, ეს აძლიერებს კავკასიაში სამხედრო კონფრონტაციის რისკს.**

„უკანასკნელ დღეებში და კვირეებში რუსეთის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი პროვოკაციული, ჩვენი აზრით, მოქმედებანი, რაც ძაბავს ვითარებას საქართველოსთან ურთიერთობაში, – განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დანა პერინომ. – ეს ნაბიჯები არსებითად და უსაფუძვლოდ ზრდიან დაძაბულობას რეგიონში“.

პერინომ მოუწოდა რუსეთს, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტს, თბილისს კი – გამოიჩინოს თავშეკავებულობა.

16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა განკარგულება, მნიშვნელოვნად გააფართოონ სამეურნეო და ჰუმანიტარული კავშირები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან. საქართველოს ხელისუფლებამ ეს შეაფასა, როგორც ანექსიის მცდელობა.

20 აპრილს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს საქართველოს უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი. აფხაზეთის ულიარებელი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ შეტევა განახორციელა მათმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ, მაგრამ თბილისი ამტკიცებს, რომ საფრენი აპარატი ჩამოაგდო რუსეთის გამანადგურებელმა. აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში მოსკოვმა, ქართული მხარესთან შეუთანხმებლად, გაზარდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტი აფხაზეთში ორიათასიდან სამიათას კაცამდე.

4 მაისს აფხაზეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გაანადგურა საქართველოს ორი უპილოტო თვითმფრინავი, მაგრამ თბილისმა უარყო ეს ცნობა და მას პროვოკაციული უწოდა.

სამშაბათს ბევრი ხმაური გამოიწვია აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებამ გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ სოხუმი მზად არის გადასცეს რუსეთს „სამხედრო კონტროლი“ თავის ტერიტორიაზე უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ.

საქართველო ბრალს სდებს მოსკოვს მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში და მოითხოვს რუსეთის სამშვიდობოების შეცვლას ამბოხებულ რეგიონებში საერთაშორისო ძალებით.

რუსეთი, თავის მხრიდან, ამტკიცებს, რომ თბილისი ემზადება გადაწყვიტოს აფხაზეთის პრობლემა სამხედრო გზით და აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში ამას არ დაუშვებს.

BBC RUSSIAN.com

## არჩევნების წინ

**უშიშროებისა თუ პროკურატურის ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნები, „მოქალაქეთა კავშირის“ კადრები და ბიზნესმენები კახეთის მხრიდან საპარლამენტო არჩევნებში იყრიან კენჭს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კახელები არჩევნებს არცთუ იმედიანად ხვდებიან. ისინი მიიჩნევენ, რომ წინა საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარების არჩევით მათთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა და 4 წლის განმავლობაში დეპუტატები თავიანთ რაიონებში 4-ჯერ არ ჩასულან...**

**კახელთა პრეტენზიები ხშირად საფუძვლიანი მოგეჩვენებათ, თუ წინა დეპუტატების ნაღვაწს ყურადღებით გადაავლებთ თვალს და არცთუ შორეულ წარსულს გაიხსენებთ. საგულისხმოა, რომ კახელებს შენიშვნები ახლანდელ კანდიდატებთანაც აქვთ, რომელზეც უფრო ვრცლად ქვემოთ გიამბობთ...**



# სანამ ავირჩევთ, სულში გვისვამენ, მერე კი ფეხებზე გვიკიდებენ!

**რად საუბრობენ კახელები მაჟორიტართა „გულმავიწყობაზე“ და რად მიიჩნევენ, რომ ყველა დაპირება დავიწყებას მიეცემა?**

როგორც ცნობილია, „ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად **პეტრე ცისკარიშვილი** ახმეტაში მოსინჯავს ძალებს, ხოლო თელავში შევარდნაძის მთავრობის ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **გია არსენიშვილი** იბრძოლებს.

ლაგოდეხში მმართველი პარტიის სახელით, დეპუტატობისთვის კენჭისყრას პარლამენტის წევრი **გურამ კაკალაშვილი** აპირებს, გურჯაანში – თბილისის პროკურორი **გიორგი ღვინიაშვილი**, დედოფლისწყაროში – რაიონის ყოფილი გამგებელი და ფერმერი **ავთანდილ ლეკაშვილი**. იგი სუფთა წარსულისაა და რაიონში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. სხვათა შორის, მმართველი პარტიიდან მაჟორიტარად დედოფლისწყაროში „პე-ეს-პე“ ჯგუფის ერთ-ერთ ხელმძღვანელს **გოჩა გოგილაშვილსაც** მოიაზრებდნენ.

ამრიგად, დედოფლისწყაროში წინასაარჩევნო ვნებათაღელვა აქტიურ ფაზაში შედის. სახელისუფლებო კანდიდატად ქველმოქმედ და ავტორიტეტულ პიროვნებას დიდხანს არჩევდნენ. საუბარი იყო ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე“ ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერზე გოჩა გოგილაშვილზე და ფერმერ ავთანდილ ლეკაშვილზე. ორივე დედოფლისწყაროშია დაბადებული და გაზრდილი. საბოლოო ჯამში, ნაციონალებმა სწორედ ავთანდილ ლეკაშვილი წარადგინეს. ამ დღიდან კულუარებში მითქმა-მოთქმა არ ცხრება იმასთან დაკავშირებით, რომ გოგილაშვილი ლეკაშვილის ახლო ნათესავია და ამიტომ დაუთმო პარლამენტარის სავარძელიო. ჩვენ ინფორმაციის გადამოწმებას თავად „პე-ეს-პე“ ჯგუფის ლიდერთან შევეცადეთ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პარლამენტარობის სურვილი არ გასჩენია:

**გოჩა გოგილაშვილი:** გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და მერწმუნეთ, რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. არასოდეს მდომებია პარლამენტარობა და არც ამჯერად მიფიქრია კენჭისყრა.

**– ამბობენ, მმართველმა პარტიამ თავდაპირველად გოგილაშვილს შესთავაზაო, ანუ ხელისუფლების მხრიდან ამ შემოთავაზებას უარყოფთ?**

– გარწმუნებთ, არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა და სიმართლე გითხრათ, არც სურვილი მაქვს...

რაც შეეხება ავთანდილ ლეკაშვილს, მასთან არანაირი ნათესაური კავშირი არ მაქვს. რომ მქონდეს, დასამალი ნამდვილად არ იქნებოდა და პირდაპირ ვიტყოდი, მაგრამ ესეც მორიგი ჭორია – ავთო ჩემი ნათესავი ნამდვილად არ არის...

რაც შეეხება ოპოზიციურ ფრთას, დედოფლისწყაროში გაერთიანებული ოპოზიციიდან ლეკაშვილს კონკურენციას **გია ბენაშვილი** გაუწევს, რომელიც მანამდე ერთიანი ეროვნული საბჭოს დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდათ. სხვათა შორის, ბენაშვილი გასული წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე, სახელისუფლებო გუნდში იყო, თუმცა ამბობენ, რომ მაშინ ოპოზიციის მხარდამჭერ აქციაზე მოხვედრის გამო გაათავისუფლეს და ორ დღეში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბს ჩაუდგა სათავეში.

ლეიბორისტული პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ლიდერმა **დავით ალულიშვილმა** ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ამჯერად, მაჟორიტარად თავისი კანდიდატურის წამოყენება აღარ სურს და მათი პარტიიდან ძალებს **სიმონ კობაიძე** მოსინჯავს, ხოლო რესპუბლიკური პარტიიდან კენჭს **ლადო ჩარბოდაშვილი** იყრის.

ყვარლის რაიონში – უშიშროების კახეთის რეგიონული სამმართველოს ყოფილი უფროსი **ზაზა გელაშვილი**, საგარეჯოში – მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი **ზაზა გულიკაშვილი** წამოიწყებენ წინასაარჩევნო მარათონს. კახეთის მხარეში გუბერნატორის მოადგილე გიორგი ბოტკოველი ირწმუნებოდა, რომ სიღნაღში აქტიურად განიხილებოდა კომპანია „აირზენა – საქართველოს ავიახაზების“ პრეზიდენტის **თამაზ გაიაშვილის** კანდიდატურა, თუმცა საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს ნუგზარ აბულაშვილი ამჯობინეს. ამ უკანასკნელის გვარი სკანდალურ ამბებს ხშირად უკავშირდება ხოლმე და მას რაიონში ძალზე ცუდი რეპუტაცია აქვს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისში აცხადებენ, რომ ცისკარიშვილის გუბერნატორად მუშაობის დროს რეგიონში ბიზნესმენები უკიდურეს ზეწოლას განიცდიდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, სწორედ ცისკარიშვილის და იმდროინდელი გენერალური პროკურორის სახელს უკავშირდება 2004 წელს კახეთში „ავტოგაზის“ ქსელის მესაკუთრეების დაკავება. გავრცელებული ინფორმაციით, ბიზნესმენი და მისი შვილები პატიმრობიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მესაკუთრემ ბიზნესის 50 პროცენტი **პეტრე ცისკარიშვილის** ნდობით აღჭურვილ პირს გადაუფორმა. ცისკარიშვილი რომ კახეთში ავტოგაზის ბიზნესით იყო დაინტერესებული, ამას გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში ოლიმპიური ჩემპიონის **ზურაბ ზვიადაურის** სახელით აშენებული ავტოგაზგასამართი სადგურიც ადასტურებს.

მხარის მოსახლეობისთვის უცხო აღარაა, რომ 2005-2007 წლებში, რეგიონული პრესა კახეთის ყოფილ გუბერნატორს აზერბაიჯანიდან საქართველოში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საწვავის გადმოტანაშიც ადანაშაულებდა. ჟურნალისტებს დღესაც კარგად ახსოვთ, როგორ შეეწირა მათი რესპონდენტის სიცოცხლე ცისკარიშვილის კონტრაბანდის შესახებ გაზეთში სტატიის გამოქვეყნებას. თავის დროზე განუკითხაობას შეეწირა ლაგოდეხელი **ფრიდონ ბუიძე**, რომელიც კონტრაბანდული საწვავის გადმოტანის ფაქტის თვითმხილველი გახდა და ნანახი ჟურნალისტებს მოუთხრო. სულ მალე, ბუიძემ ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოდან გაგზავნილ პოლიციელთა მუქარებს ვერ გაუძლო და გულის შეტევით გარდაიცვალა... (!ძ პარადოქსული გახლდათ ისიც, რომ ჟურნალისტებს სწორედ ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა **რობიზონ პაპაშვილმა** აცნობა, რომ ფრიდონ ბუიძეს გული გაუსკდა: **„თქვენ რომ ბენზინის გამყიდველი გესაუბრათ, ინერვიულა, გული გაუსკდა და გარდაიცვალა...“** – აღნიშნა მან, თუმცა აღარ დაუკონკრეტებია, თუ რატომ ინერვიულა და ვინ გაალიზიანა ბენზინის გამყიდველი.

გუბერნატორობის პერიოდში ცისკარიშვილი განსაკუთრებით აგრესიული იყო დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები ინგილოების მიმართ, რომლებიც რწმუნებულის უკანონო ბიზნეს-ინტერესებზე ხმამაღლა საუბრობდნენ. მოსახლეობისა და გუბერნატორის დაპირისპირება, ცისკარიშვილის დავალებით სპეცრაზმის მიერ 2005 წლის 31 დეკემბერს საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის ჩაკეტვით დასრულდა. მას შემდეგ ინგილოები რეგიონული ხელისუფლების მხრიდან მუდმივ ტერორში იმყოფებოდნენ. საინგილოსთან ჩასახლებული ჰერების ნებისმიერი მცდელობა, გუბერნატორის ქმედებების თაობაზე მშვიდობიანი აქციით ხმა მიეწვდინათ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, აქციის მონაწილეთა დარბევით სრულდებოდა. ცისკარიშვილის გუბერნატორობის პერიოდს უკავშირდება ასევე კახეთში დამოუკიდებელი მედიის შევიწროების, ჟურნალისტებზე თავდასხმისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტები, ასევე სარჩელების კორიანტელი დამოუკიდებელი ჟურნალისტების წინააღმდეგ.

უცხო არავისთვისაა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატად ცისკარიშვილის კანდიდატურის წამოყენებას ადგილობრივები სიხარულით არ შეხვედრიან. როგორც ახმეტის მკვიდრმა **ირაკლი მარგოშვილმა** უფლებათა ცენტრს აცნობა, კახეთის გუბერნატორის ლევან ბეჟაშვილის მიერ ცისკარიშვილის დეპუტატობის კანდიდატად წარდგენას მხოლოდ სპეციალურად მიწვეული მოქალაქეები დაასწრეს. „ცისკარიშვილს თუ ჰგონია, არ ვიცით რატომ იყო ახალგაზრდა ქალთან ერთად რამდენიმე წლის წინათ, ახმეტაში გატაცებული, ძალიან ცდება. ხეობაში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი შედარებით შემცირდა. რა გარანტია გვაქვს, რომ ისეთი მომგებიანი საქმე, როგორიც ნარკობიზნესია, ცისკარიშვილის გადეპუტატების შემთხვევაში ისევ არ აღორძინდება?“ – კითხულობს იგი.

ამომრჩევლებს კითხვები **გურამ კაკალაშვილთანაც** აქვთ. მოსახლეობას აინტერესებს, შევარდნაძის მმართველობის დროს, ლაგოდეხის პურკომბინატის მაშინდელმა დირექტორმა კაკალაშვილმა სასწრაფოდ როგორ გააკოტრა ქვირადღირებული საწარმო თავისი 10 ობიექტით, რის შემდეგაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის ლიდერი გახდა. ვარდების რევოლუციამდე, როცა საწარმოს გაკოტრების საქმით პროკურატურა დაინტერესდა, კაკალაშვილმა სამართალდამცავების ინტერესებს პოლიტიკური განცხადებებით უპასუხა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ. რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორი დასძენს, რომ 2004 – 2007 წლებში პარლამენტის წევრის სტატუსით, იგი ხშირად უხეშად ერეოდა ადგილობრივი მმართველობის საქმიანობაში. ფაქტობრივად, მთლიანად კაკალაშვილი კურირებდა საკადრო საკითხებს, საჯარო სკოლებში დირექტორთა დანიშვნასაც კი.

როგორც **გია არსენიშვილმა** აღნიშნა, დეპუტატობაზე წინადადება რამდენიმე პოლიტიკოსისგან მიიღო. „მაჟორიტარობის კანდიდატი იმ ქალაქიდან ვარ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. პირველად მიხეილ მაჭავარიანმა მკითხა, თელავიდან მაჟორიტარად კენჭს ხომ არ იყრიო. იგივე წინადადება საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემაც მომცეს. მითხრეს, თელავში გამოკითხვა ჩატარდა, ვის ისურვებდნენ მაჟორიტარ დეპუტატად და თქვენ დაგასახელესო. ეს კახეთის გუბერნატორმა მითხრა. არადა, კენჭისყრას არ ვაპირებდი. მინდოდა რამდენიმე ადამიანს დავხმარებოდი“, – განაცხადა არსენიშვილმა და დასძინა: „თანამდებობებზე ვიყავი, მაგრამ ვერსად ნახავთ ჩემს ბიზნესწილს და არც ქონება დამიგროვებია იმ დროს“...

ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენელთა თქმით, მმართველმა პარტიამ დედაქალაქის მსგავსად, რეგიონებშიც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად მატერიალურად შეძლებული ადამიანები შეარჩია. საგარეჯოს და დედოფლისწყაროს დეპუტატობის კანდიდატები მოქმედი ბიზნესმენები არიან. სამაგიეროდ მათ გავლენით არ ჩამორჩებიან ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის და სხვა რაიონებში წარდგენილი კანდიდატები, რომელთა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება, სანდო წყაროების ცნობით, გამგეობებთან ერთად, ადგილობრივ ბიზნესმენებს დაეკისრათ.

კიდევ ერთი პარადოქსული ფაქტი, რომელიც ლაგოდეხიდან ნაციონალების პროპორციულ სიაში 92-ე ნომრად წარდგენილ **ისაკო ცქიფურიშვილს** ეხება. საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელზე სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული.

ოფიციალურად დადასტურდა, რომ **ისაკო ცქიფურიშვილი** სიაში 92-ე ნომრადაა წარდგენილი. „ნაცმოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა **ზურაბ მელიქიშვილმა** განაცხადა, რომ პირველად ჟურნალისტებისგან შეიტყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცქიფურიშვილზე სახალხო დამცველის **სოზარ სუბარის** რეკომენდაციის საფუძველზე გენერალურ პროკურატურაში ორი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. გუბერნატორი **ლევან ბეჟაშვილი** აცხადებს, რომ მისი რეკომენდაციით ცქიფურიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში არ მოხვედრილა. უფრო მეტიც, ბეჟაშვილის არც სიის დაკომპლექტებაში მიუღია მონაწილეობა.

ცქიფურიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ რეგიონული რადიო **„ჰერეთის“** ადმინისტრაციას „ნაცმოძრაობის“ სახელით დიდი თანხა შესთავაზა, რათა რადიოს ყველა ოპოზიციური აზრის ეთერში გაშვება დაებლოკა და პრეზიდენტის სასარგებლოდ ემუშავა. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლებს და რადიოსადგურს ლიკვიდაციით დაემუქრა. ცქიფურიშვილმა აღნიშნა, რომ დავალება ცენტრალური ხელისუფლებისგან მოდიოდა. ხელისუფლება და „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი **დავით კირკიტაძე,** რომლის სახელითაც **ისაკო ცქიფურიშვილი** მაშინ საუბრობდა, კატეგორიულად უარყოფდა მასთან კავშირს. აღნიშნულ ზეწოლებზე გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის 2 საქმეა აღძრული, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს...

„–სასიკეთოდ არც ახლა შეიცვლება რამე... მით უფრო, რომ კახეთის ბევრ რაიონში კენჭს საკმაოდ გაცვეთილი კადრები იყრიან... ცისკარიშვილის, არსენიშვილის, კაკალაშვილის და დანარჩენების ხალხთან დამოკიდებულება მანამდეც ბევრჯერ დავინახეთ. პეტრე ცისკარიშვილის გუბერნატორობიდან მინისტრად გადაყვანა მოსახლეობამ „მაღარიჩით“ აღნიშნა და საინტერესოა, რის იმედზე აპირებს არჩევნებში გამარჯვებას? გლეხკაცი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ?! ამჯერად ნამდვილად აღარ გავბრიყვდებით... ცისკარიშვილი ის ბიჭი არ იყო, გასულ ზაფხულს სპეცრაზმი რომ მოგვაყენა და გვემუქრებოდნენ, ხმა არ ამოიღოთო? ახლა ჩვენი ხმები რომ დასჭირდა, ტკბილად რატომ აჭიკჭიკდა?...“ – ამბობენ კახელები.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისი გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატის **გიორგი ღვინიაშვილის** რეგისტრაციიდან მოხსნას ითხოვს. ცენტრის იურისტები აცხადებენ, რომ ღვინიაშვილი კანონის უხეში დარღვევით დარეგისტრირდა. მათი თქმით, ღვინიაშვილმა საოლქო-საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისას ვერ წარმოადგინა სამართლებრივი აქტი, რომელიც მისი თბილისის პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებას დაადასტურებდა. მათი თქმით, საჩივარი სრულიად დასაბუთებულია და ღვინიაშვილი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას რეგისტრაციიდან. თავის მხრივ, ღვინიაშვილმა ბრალდებები უარყო და დასძინა, რომ საოლქოს მოწესრიგებული დოკუმენტაცია წარუდგინა...

**ასე თუ ისე, კახელების უმრავლესობა იმედგაცრუებაზე საუბრობს და დასძენს, რომ არჩევნებს არცთუ იმედიანად ხვდება. მათ დიდ ნაწილს ხმების ობიექტურად დათვლაში ეჭვი ეპარება, დანარჩენები კი მაჟორიტართა „გულმავიწყობაზე“ ამახვილებენ ყურადღებას და მიიჩნევენ, რომ ყველა დაპირება რომელიც ამ დღეებში კეთდება, მომდევნო 4 წლის განმავლობაში პარლამენტარებს არც კი გაახსენდებათ...**

**ილია მარტყოფლიშვილი**
კახეთიდან

მხარე

# დედოფლისწყაროში დამკვიდრდა...

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დავით გონაშვილის შეგირდებმა ამ დღეებში ერთბაშად ორ პრესტიჟულ ტურნირში ისახელეს თავი.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგილოებით მჭიდროდ დასახლებულ აზერბაიჯანის სოფელ მუღანლოში დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში მოპოვებული წარმატება, სადაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნიკა ბიკაშვილი (23 კგძ, გელა ქოქიაშვილი (35ძ, ტელმან გივიშვილი





(38ძ, ლევან ოზბეთელაშვილი (46ძ და აზო ბოდაველი (69ძ, ხოლო ფერდო გონაშვილმა (32ძ მეორე ადგილი დაიკავა.

კიდევ უფრო უხვი მოსავალი მოიწიეს დედოფლისწყაროელმა ფალავნებმა გურჯაანში გამართულ ეროვნულ პირველობაზე. ექვსი „ოქრო“ და რვა „ბრინჯაო“ – ასეთია შირაქელთა ნადავლი.

გაგაცნობთ ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას:

**გამარჯვებულნი** – ნიკა ბიკაშვილი (26 კგ.ძ, თამაზ ინასარიძე (29ძ, ფერდო გონაშვილი (32ძ, გელა ქოქიაშვილი (35ძ, ტელმან გივიშვილი (38ძ და არსენ მარტყოფლიშვილი (მძიმე წონაძ.

**მესამეადგილოსნები** – ნიკა ჭინჭარაული (32ძ, ირაკლი მენთეშაშვილი, დათო ხარაშვილი (ორივე – 35ძ, ლევან ოზბეთელაშვილი, გიორგი არაბული (ორივე – 46ძ, ლაშა ბოდაველი, რაშიდ დეიხანოვი (ორივე – 50ძ და მამუკა ბენაშვილი (63ძ.

* * *

**მშვენიერი ტრადიცია დამკვიდრდა დედოფლისწყაროში – რაიონის გამგეობა, მუნიციპალიტეტის საკრებულო, კულტურისა და სპორტის ცენტრი (დირექტორი თამაზ კირვალიძეძ გულთბილ შეხვედრებს უწყობენ სახელოვან თანამემამულეებს. ახლახან საზოგადოების წინაშე მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიატი ზაზა კედელაშვილი წარსდგა.**

ტატამის დიდოსტატს მიესალმნენ მისი პირველი ზემოქედელი მწვრთნელი გივი ლაზვიაშვილი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი, პარლამენტის წევრი, ქველმოქმედებით გამორჩეული პიროვნება ლაერტ ზუბადალაშვილი და რაიონის ყოფილი გამგებელი, ამჟამად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ავთანდილ ლეკაშვილი, რომელმაც პირობა დადო, რომ მიუხედავად არჩევნების შედეგებისა, მომავალშიც გვერდში დაუდგება დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს.

ღონისძიების დასასრულ ახალმა გამგებელმა ლევან ბალაშვილმა მუნიციპალიტეტის ერთჯერადი ჯილდო – 2000 ლარი გადასცა სტუმარს.

* * *



**სპორტს, განსაკუთრებით ფეხბურთს, დიდი როლი აკისრია ახალგაზრდების ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდის საქმეს და მომავალი თაობის სწორ გზაზე დაყენებაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფო რწმუნებულის – კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივა: „აირჩიე სიცოცხლე“, რომელიც გულისხმობს ანტინარკოტიკული აქციის მხარდაჭერას. ამასთან დაკავშირებით კახეთის მხარეში ტარდება ზონალური ტურნირი ფეხბურთში, რომელმაც უნდა გამოავლინოს რეგიონის გამარჯვებული და პრიზიორები.**

ერთი ასეთი მატჩი ლაგოდეხში ჩატარდა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის ახალგაზრდული ნაკრები და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ფეხბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ხვიჩა დავითაშვილი, ალეკო ხარაშვილი, გიორგი ლაპიაშვილი, თორნიკე ჩერქეზიშვილი, ირაკლი ლაპიაშვილი, შალვა შაიშმელაშვილი, შოთა ჩადუნელი, ნიკა ყოჩიაშვილი, გიორგი ოზბეთელაშვილი, ზურა პოპიაშვილი, არჩილ ჯიბღაშვილი, გივი დავითაშვილი, ზაზა ბენაშვილი, თორნიკე შანშიაშვილი (მწვრთნელი ზურაბ ჩალაბაშვილიძ.

შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 3:3. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი დრო. დედოფლისწყაროელებმა იმარჯვეს 5:4 და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

შეხვედრის მონაწილენი დაჯილდოვდნენ წმინდა სამების ხატით. აღნიშნული საჩუქარი დედოფლისწყაროელმა ფეხბურთელებმა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს გადასცეს.

**ნანა ჭიჭინაძე**
„სრ“ საკ. კორ.

ევრო-2008

## ქურდებიც ემზადებიან

**დიახ, ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მარტო მისი ორგანიზატორები და ნაკრებები კი არა... ჯიბის ქურდებიც ემზადებიან. მათ, ალბათ, ორივე მასპინძელი ქვეყნის საფეხბურთო გარემოში ასობით მიითვლიან.** ამას გარდა, ავსტრიის პოლიცია დარწმუნებულია, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ გამოცდილი ბოროტმოქმედნი რაღაც საზაფხულო ბანაკის მაგვარს მოაწყობენ, სადაც ახალგაზრდობას გაწვრთნიან კრიმინალური პროფესიების ხელოვნება-ოსტატობაში. შემდეგ ისინი თავიანთ მწვრთნელ-მასწავლებლებს დღიური შემოსავლის პროცენტებით აუნაზღაურებენ გაწეულ შრომას. პრობლემა იმაშია, რომ პოლიცია ვერ ადგენს ასეთი ბანაკების ადგილსამყოფელს.



ასე რომ, ევროპული ფეხბურთის დათვალიერებაზე ავსტრიასა და შვეიცარიაში ჩასული ქომაგები ჯიბეებსაც და ფულის შესანახ სხვა ნივთ-ადგილებსაც უნდა გაუფრთხილდნენ. ყოველ შემთხვევაში დოკუმენტები საფულეებიდან მოშორებით უნდა შეინახონ.

ორბიტაზე



## წყლის ბილიკებზე — შეუდარებელი

**სევილიაში ღია წყალზე ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატზე 5 კილომეტრზე ცურვაში მეორე ოქროს მედალი მიუმატა 19 წლის რუსეთელმა მოცურავემ ლარისა ილჩენკომ ორი დღით ადრე ოჯერ მეტ მანძილზე მოპოვებულ „ოქროს“.**

ყოველივე ეს კი ქალიშვილისთვის მერვე გამარჯვება იყო მსოფლიო ჩემპიონატებზე.

## ფული ტრუსებსაც შემოაქვს

**იშვიათი როდია, როდესაც კინოს, სპორტისა და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები საზოგადოებას აოცებენ უჩვეულო ჩაცმულობით. თანაც ეს მუდამ პაპარაცების გამონაგონი როდია.**

ზოგჯერ „ვარსკვლავ-სტატუსი“ (სარეკლამო კონტრაქტებიცძ აიძულებს მათ ძალზე „ღია“ ფოტოსესიაში მონაწილეობას. შიშველი (ან ნახევრადშიშველიძ გამოჩენა კარგი შემოსავლის წყაროცაა.

გაზეთმა The Sun შეარჩია ის ვარსკვლავები, რომლებიც სიამოვნებით უწევენ რეკლამას ქვედა თეთრეულს. ამ სიაში ლამაზმანების (რაც გასაკვირი არააძ კაილი მინოუგის, ელისაბედ ჰერლის, სარა ჰარდინგისა და პორნოვარსკვლავის ჯორდანის გარდა, სამი მამაკაციც – ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი დენიელ კრეიგი და ორი ფეხბურთელი – დევიდ ბექჰემი და ფრედი იუნგბერგიც – შევიდა. არმანის ტრუსებში გამოწყობილმა პირველმა ამისთვის 20 მილიონი დოლარი მიიღო, მეორემ კი – 5 მილიონი Calvin Klein ტრუსების რეკლამისთვის.



## „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი?



**როგორც იტყობინებიან, ესპანური „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი იქნება ხოსეპ გვარდიოლა.** ის შეცვლის ფრანკ რაიკარდს, რომელმაც წლეულს კლუბს ვერც ერთი მაღალი ტიტული ვერ მოაპოვებინა.

## მსოფლიო რეკორდისთვის — დედამიწის გარშემო

**როგორც პუერტო-რიკოს სან-ხუანიდან იტყობინებიან, იქ დედამიწის გარშემო მოგზაურობის პირველი ეტაპი დაამთავრა ტრიმარანმა Earthrace, ბიოსათბობს რომ იყენებს. მისი მიზანია ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება ძრავიანი ხომალდებისთვის.** 7 კაცისგან შემდგარმა საერთაშორისო ეკიპაჟმა ახალზელანდიელი შკიპერის პიტერ ბეტიუნის ხელმძღვანელობით ერთი კვირის წინათ სტარტი ვალენსიაში აიღო და მთელი მარშრუტი 74 დღეზე, 23 საათსა და 53 წუთზე ნაკლებ დროში უნდა გაიაროს, რათა დაამხოს ახლანდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1998 წელს ბრიტანელებმა დაამყარეს.

წესების თანახმად, მარშრუტი აუცილებლად უნდა გადიოდეს ორ არხზე – პანამისა და სუეცის არხებზე. ეკოლოგიურად სუფთა ხომალდის გზა ეკვატორის მახლობლად გადის და უმოკლესია წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების გადასალახად.

აღსანიშნავია, რომ 24-მეტრიანი ტრიმარანი სპეციალურად ამ სარეკორდო ცურვისთვისაა აგებული.



მართლმსაჯულება

**მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კანონი საპროცესო გარიგების შესახებ, ზოგიერთმა დაზარალებულმა, თუ ვითომ დაზარალებულმა ის სათავისოდ მოირგო. უკვე დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ამ კატეგორიის მოქალაქეები გადიან კონტაქტებზე და ცდილობენ მათთვის ზიანის, ზარალის მომტანთან პირადად „გააფორმონ“ გარიგება. ისინი ითხოვენ ფულს (გააჩნია, მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს). თანხები ზოგჯერ საპროცესო გარიგებით გათვალისწინებულზე მაღალია. უარის მიღების შემთხვევაში საჩივრით სამართალდამცავ ორგანოებს აკითხავენ.**

# ფულის გამოძალვის ახალი მეთოდები



### დაჭრა სახლის გაყიდვის შემდეგ მოაგონდა

**ორი წლის ბრძოლა დასჭირდა ბადრი ტურაშვილს, რომ სიღნაღელი ვახტანგ ბიძინაშვილი განსასჯელის სკამზე დაესვა. ამჟამად სიღნაღის რაიონული სასამართლო მის საქმეს განზრახ მკვლელობის მცდელობისა და პიროვნებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით იხილავს. ამ დანაშაულებში ეჭვმიტანილის მხარის განცხადებით აი, რა მოხდა:**

მამა-შვილმა ავთანდილ და ვახტანგ ბიძინაშვილებმა მამის მეგობარს, ბადრი ტურაშვილს მანქანით მიაკითხეს სახლში, გარეთ გამოიყვანეს და „ნივაში“ ჩაისვეს. მეგობრები წყნარად საუბრობდნენ. მოულოდნელად ფსიქიურად დაავადებულმა ავთანდილმა დანა ამოიღო და ტურაშვილს ხელში დაარტყა. ამის მომსწრე ვახტანგმა დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანა მანქანიდან, მოუზოდიშა, მამის მდგომარეობის შესახებ მისმა მეგობარმაც იცოდა. მას ადგილზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. როგორც ჩანს, ტურაშვილი უმცროსი ბიძინაშვილის გამოჩენასა და გარკვეულ დახმარებას ელოდა. როდესაც ეს არ მოხდა, დაზარალებულმა მეხუთე დღეს საჩელი პოლიციაში შეიტანა. თავიდან საქმე აღიძრა სხეულის ნაკლებ მძიმე დაზიანების მუხლით. ტურაშვილმა ვახტანგ ბიძინაშვილისაგან უმნიშვნელო ჭრილობის სამკურნალოდ და პოლიციიდან განცხადების გამოტანისათვის სოლიდური თანხა მოთხოვა. უარის მიღების შემდეგ თავის ჩვენებებში მთელი აქცენტი უმცროს ბიძინაშვილზე გააკეთა.

ხოლო, მას მერე რაც შეიტყო, რომ ვახტანგ ბიძინაშვილმა ბინა გაყიდა, ჩვენება რამდენიმეჯერ შეცვალა. ყოველ შეცვლასთან ახლდა ახალი დამამძიმებელი გარემოებების დამატება. დაზარალებული ჯერ წერდა, რომ მამა-შვილი მკლავდნენო. მერე ვახტანგმა დამარტყა დანაო. შემდეგ ამბობდა, რომ საჭესთან მჯდომი უმცროსი ბიძინაშვილი დანას მუცელში მირტყამდა, მე ხელის დაფარება მოვასწარი და სწორედ მაშინ დავიჭერიო. ბოლო ჩვენების მიხედვით კი ვახტანგს მამის დაჭრილი მეგობარი (მძღოლის გვერდით მჯდომი) მანქანაში ჩაუკეტია. ტურაშვილს იმდენი მოუხერხებია, რომ „ნივიდან“ გადმომხტარა. მანქანა მას დასაჯახებლად გამოკიდებია, მაგრამ დაჭრილს მოუსწრია, რომელიღაც ეზოში შესწრება და თავის გადარჩენა.

მიუხედავად ტურაშვილის დიდი მცდელობისა, აცხადებს ვახტანგ ბიძინაშვილის ადვოკატი ნანა ცხვარიაშვილი, მის დაცვის ქვეშ მყოფს ორი წელი არ აკავებდნენ. არ არსებობდა ბრალეულობის მტკიცებულებები. ყველაფერი ემყარებოდა ერთი კაცის, დაზარალებულის ჩვენებებს. მას შემდეგ კი რაც ტურაშვილმა ბიძინაშვილების სახლის გაყიდვის შესახებ შეიტყო და ვახტანგმა მას მკურნალობისათვის ხელში დაჭრილს მხოლოდ მიზერული თანხა (ტურაშვილის აზრით) შესთავაზა, ბრალდებულის მიმართ ჩვენებები შეიცვალა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო დამძიმდა. მუდმივი საჩივრებით შეწუხებულმა სიღნაღელმა სამართალდამცავებმა აღარ გაითვალისწინეს უმცროსი ბიძინაშვილის წინასწარი დაკითხვის დროს მიცემული ჩვენებები, არც ის, რომ არ არსებობდა ბრალეულობის მტკიცებულებები და ვახტანგ ბიძინაშვილი დააკავეს. როგორც მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილის მხარე აცხადებს, სამართალდამცავებმა პრობლემა უცბად გადაწყვიტეს, ტურაშვილის არაერთგზის ჩვენების შედეგად დააკავეს უდანაშაულო კაცი. დაზარალებულისათვის რეალურად ზიანის მიმყენებელ ავთანდილ ბიძინაშვილს ხომ არ დააკავებდნენ, რომელიც ფსიქიურად არის დაავადებული და შესაბამის მკურნალობის კურსს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პერიოდულად გადის.

უმცროსი ბიძინაშვილი სამ თვეზე მეტია სიღნაღელი მოსამართლეების განაჩენს ელის.

### „ჯიპის“ მითვისებისთვის ცრუ ჩვენებებს იძლეოდა

**თემურ ჩარკვიანსა და პაატა მამასახლისს ევროპიდან საქართველოში გემით მორიგი გასაყიდი „ჯიპი“ ჩამოჰყავდათ (ისინი ამ ბიზნესს ოფიციალურად ეწეოდნენ). გზაში მათ ვინმე ოთარ კაპანაძე გაიცნეს, რომელიც ასევე თბილისში მოდიოდა. კაპანაძემ კეთილი ნება გამოიჩინა და ახალგაცნობილებს ფოთიდან თბილისში „ჯიპის“ საჭესთან დაჯდომა შესთავაზა, მეგობრები უმალ დათანხმდნენ (ჩარკვიანს მართვის მოწმობა არ ჰქონდა, მამასახლისი გადაღლილი იყო).**

თბილისში ჩამოსულები ჩარკვიანთან მივიდნენ. ოჯახმა კაპანაძე სუფრასთან მიიპატიჟა. სტუმარმა, თავს მოვიწესრიგებ და 1-2 საათში მოვალო თქვა, გარეთ გამოვიდა, ყველასთვის მოულოდნელად ახლადჩამოყვანილი მანქანით წავიდა. მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ კაპანაძე არ გამოჩენილა. შეშფოთებულმა ჩარკვიანმა დაცვის პოლიციაში მომუშავე თავის ნათესავს რობერტ გაზდელიანს დახმარება სთხოვა, პოლიციელმა მართლაც მიაგნო გაუჩინარებულს. ისინი ერთმანეთს ფილარმონიასთან შეხვდნენ. კაპანაძე შეხვედრაზე ჩარკვიანის მანქანით მივიდა. მან გაზდელიანს მანქანა არ გაატანა – არ გიცნობ, მანქანას მარტო ჩარკვიანს მივცემო. მას მობილურით დაუკავშირდნენ. დაითქვა, რომ შეხვედრა მეტროსადგურ „წერეთელთან“ მოხდებოდა. შეხვედრის ადგილზე კაპანაძე და გაზდელიანი უფრო ადრე მივიდნენ. ჩარკვიანი იგვიანებდა. გაზდელიანმა შეამჩნია, რომ კაპანაძე მანქანიდან არ გადმოდიოდა და ძრავას არ თიშავდა. გაჩნდა ეჭვი, რომ იგი გაქცევას აპირებდა. პოლიციელი მივიდა „ჯიპთან“, ძრავა გამორთო და გასაღები საკეტიდან ამოიღო. შემდეგ კაპანაძეც გადმოიყვანა მანქანიდან, რადგან ჩარკვიანი კიდევ არ ჩანდა. გაზდელიანმა კაპანაძის პოლიციაში მიყვანა გადაწყვიტა, ყველაზე ახლოს სატრანსპორტო პოლიცია იყო. თუმცა იქ ისინი არ მიიღეს და გააგზავნეს ისინი-სამგორის პოლიციაში, რადგანაც კაპანაძე ე.წ. აფრიკის დასახლებაში ცხოვრობდა.

გაზდელიანის მანქანაში ისხდნენ მისი ორი კოლეგა, რომლებიც მას მეტროსადგურ „დელისთან“ შეხვდნენ და კაპანაძის თანმხლები სამი პირი. შუა გზაში კაპანაძემ მოახერხა და მანქანიდან გადახტა. იგი პირდაპირ შსს-ს გენერალურ ინსპექციაში მივიდა და გაზდელიანსა და მის თანმხლებ პირებზე საჩივარი დაწერა. თავიდან მომჩივანი წერდა, რომ იგი გაზდელიანმა უმიზეზოდ სცემა, რადგანაც მანქანა მას მფლობელმა, ჩარკვიანმა ათხოვა. შემდეგ ჩვენება შეცვალა და ამბობდა, რომ იგი გაზდელიანმა და მისმა თანამშრომლებმა „წერეთლის“ მეტროსთან ძალით წაიყვანეს მატარებლების ფარეხში (ე.წ. „იუჟნი პარკში“), სცემეს და წაართვეს პირადი ნივთები და მობილური ტელეფონი. ამ ჩვენებების საფუძველზე გაზდელიანსა და მის თანამხლებთ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

რაც დრო გადიოდა, ბრალდებები დაკავებულების მიმართ სულ უფრო მძიმდებოდა. კაპანაძე წერდა, რომ სატრანსპორტო პოლიციაში მიყვანამდე წაართვეს 2300 დოლარი და სატრანსპორტო პოლიციის უფროსმა მოგვიანებით 2000 დოლარი დაუბრუნა მას. შემდგომ ჩვენებებში კაპანაძე კიდევ უფრო ზრდის მისთვის ვითომდა წართმეული თანხის რაოდენობას. იგი მიუთითებს 3, 4 და 6 ათას დოლარზეც კი.

დაიწყო სასამართლო გამოძიება. გაზდელიანს ჩაუტარდა სასამართლო ექსპერტიზა, რომელმაც „დაზარალებულის“ სხეულზე სისხლნაღვენთებს ვერ მიაგნო. ამრიგად, ცემის ფაქტი გამოირიცხა. 2000 დოლარის კაპანაძისათვის გადაცემის თაობაზე დაიკითხა სატრანსპორტო პოლიციის უფროსი, რომელმაც თქვა, რომ პირველად ხედავდა კაპანაძეს და მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. გაირჩხრიკა „წერეთლის“ მეტროსთან მიტოვებული ჩარკვიანის მფლობელობაში და კაპანაძის მართვის ქვეშ მყოფი „ჯიპიც“. მანქანის „ბარდაჩოკში“ გამოძიებამ იპოვა კაპანაძის პირადი ნივთები და მობილურიც. ასევე დაიკითხნენ კაპანაძის თანმხლები პირებიც. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ უსიამოვნო ლაპარაკის მომსწრენი კი იყვნენ, მაგრამ ცემის, გამოძალვისა და ძარცვის მოწმენი არ ყოფილან.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ ხელჩასაჭიდებელი ნივთმტკიცება ან ჩვენება ვერ მოიპოვა, „შეუვალმა“ პროკურატურამ დროებით დაკავებულებისათვის 10-10-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. მაგრამ მოსამართლე რეზო ნადოიმ გამოიჩინა პრინციპულობა და ეჭვმიტანილები არათუ სრულად გაამართლა, არამედ მოახდინა მათი სრული რეაბილიტაცია (სამსახურში აღდგენა).

საინტერესოა, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ცრუ ჩვენებების, საჩივრების მიმცემთა და დამსწრეთა დაუსჯელი თავნებობა, როდესაც ორივე შემთხვევაზე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მით უმეტეს, არსებობს ვერსია, რომ კაპანაძეს მთელი რიგი დამამძიმებელი გარემოებების შექმნა იმისათვის დასჭირდა, რათა ახალჩამოყვანილი „ჯიპი“ მიეთვისებინა, ან მანქანით მოვაჭრისათვის სოლიდური თანხა გამოეძალა.

**ზაზა ბილიხოძე**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** **ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე, 70 წლის, ვმუშაობ. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათით ვსარგებლობ საშემოსავლო გადასახდის დაბეგვრის დროს?**

**გივი ჭაბუკიანი**
**ქ. მცხეთა**



**პასუხი:** საქართველოს საგადასახდო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მე-2 მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.


## განცხადება

**2008 წლის 27 მაისს გაიმართება სააქციო საზოგადოება „ხაშური-სამგზავროს“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
3. აუდიტორის არჩევა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2008 წლის 21 აპრილი.

აქციონერთა საერთო კრება გაიმართება ქ. ხაშურში, გორგასლის 32-ში, 12 საათზე.

**სს „ხაშური-სამგზავროს“ გენ. დირექტორი შ. ჯიბუტი**

**2008 წლის 30 მაისს დღის 12 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „ჩარხმშენებლის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევნები;
3. სხვადასხვა.

მისამართი: თბილისი, თ. ერისთავის 1.

**სამეთვალყურეო საბჭო**

**სს „საქმეოლითის“ დირექტორატი იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 28 მაისს 12 საათზე თბილისში, ქიზიყის ქ.№6-ში მდებარე საზოგადოების ოფისში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის მუშაობის შედეგები;
2. დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში;
4. აუდიტორის არჩევა 2007 წლისათვის.

ხსოვნა

# გიორგი კერესელიძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებრიობამ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და პროფკავშირული მოძრაობის გამოჩენილი ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის აკადემიური დოქტორი გიორგი კერესელიძე.

ბატონმა გიორგიმ, მისი არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, ქვეყნის სამედიცინო და პროფესიულ დარგში მოღვაწეობის ასპარეზზე თავი გამოიჩინა როგორც ღირსეულმა ხელმძღვანელმა და ნიჭიერმა მუშაკმა.

გიორგი კერესელიძე დაიბადა 1949 წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საექიმო პროფესიას დაეუფლა ლენინგრადის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, პრაქტიკულ საექიმო საქმიანობას იწყებს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდის მომავალი საექიმო კარიერა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის მეცნიერულ ხელმძღვანელებს. მათივე რეკომენდაციით ახალგაზრდა ექიმი გაიგზავნა მოსკოვის მეორე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში. მუყაითი და გამრჯე მკვლევარი წარჩინებით ამთავრებს ასპირანტურას და ამავე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

ბატონი გიორგის შემდგომი საექიმო საქმიანობა დაკავშირებულია თბილისისა და მარნეულის სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც ასრულებდა ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და მკურნალი ექიმის მოვალეობას.

უკანასკნელი თითქმის ორი ათეული წელი გიორგი კერესელიძის საექიმო, ორგანიზატორული საქმიანობა მთლიანად დაკავშირებული იყო საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიულ კავშირებთან. მისი ხელმძღვანელობით, დროთა განმავლობაში, ეს ორგანიზაცია გადაიქცა სამედიცინო დარგის მუშაკთა ზრუნვის, სოციალური კეთილდღეობის, შრომითი პირობების გაუმჯობესების მძლავრ ცენტრად, რამაც მისი მოღვაწეობისადმი საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა.

ბატონი გიორგი, როგორც მოქალაქე და ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, მუდმივად იღვწოდა თავისი ხალხის სასიკეთოდ, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი.

ის განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავდა ახალგაზრდა საექიმო კადრების პროფესიული დახელოვნებისათვის. მან მრავალ ახალგაზრდა სპეციალისტს გაუწია თანადგომა და მხარდაჭერა.

გიორგი კერესელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მაღალი ჯილდო — ღირსების ორდენი.

გულისტკივილით ვეთხოვებით ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, თანამოაზრეს, რომელმაც იცხოვრა და იღვაწა ქვეყნისათვის მამულიშვილური ერთგულებით და ამით ღირსეული მაგალითი დაუტოვა მომავალ თაობას.

საქართველოს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, სამედიცინო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი

ხსოვნა

# მზია კანდელაკი



წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, გამოცდილი და გულისხმიერი ექიმი, პედაგოგი, სამაგალითო დედა და მეუღლე, ერთგული მეგობარი, პროფესორი მზია კანდელაკი.

ქალბატონი მზია წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე. იყო ასისტენტი, შემდეგ დოცენტი. ამავე კათედრაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჩინეთში სპეციალიზაციის შემდეგ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში რეფლექსოთერაპიის განვითარებას. იყო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი რეფლექსოთერაპიის დარგში, საქართველოს აკუპუნქტურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი. 1993 წლიდან ქალბატონი მზია იყო კლასიკური და ტრადიციული (ჩინური) მედიცინის კათედრის გამგე, საქართველოს რეფლექსოთერაპიის ცენტრის „ჯენძიუს" ხელმძღვანელი, ამავე დროს ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტლის უფროსის მოადგილე სამეცნიერო კლინიკურ დარგში.

შეუპოვარი ხასიათის მქონემ, პრინციპულმა, შრომაში დაუღალავმა, მუდმივად ადამიანის უფლებების დამცველმა, ქალბატონმა მზიამ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლეგებსა და მეგობრებში. დიდი სამსახურებრივი დატვირთვის მიუხედავად იყო კარგი დიასახლისი და მეოჯახე ბედნიერი დედა და ბებია. მას ყოველთვის კარგად გაიხსენებენ მისი ოჯახის წევრები, კოლეგები და მეგობრები.

თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის კერძო თერაპიის კათედრის თანამშრომლები.

# განცხადება

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის შემდეგი სახელობითი პრემიების მისანიჭებლად:

1. აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემიის – მათემატიკისა და მექანიკის დარგში;
2. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის – საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის დარგში;
3. აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის პრემიის – ფიზიკის, ასტროფიზიკის დარგში;
4. აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემიის – ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დარგში;
5. ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიის – მედიცინის, მედიცინის ისტორიის დარგში;
6. აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემიის – კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის დარგში;
7. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის სახელობის პრემიის – საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის დარგში;
8. აკადემიკოს დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემიის – ქართული მუსიკის, მუსიკათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის დარგში;
9. აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიის – საქართველოს მინერალური ნედლეულის, გეოლოგიისა და ტექნოლოგიის დარგში;
10. პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის – ეკონომიკის დარგში.

**საქართველოს** მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს სასწავლებლებსა ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო მოღვაწეებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის ანიჭებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის პრემიებს.

პრემიების მინიჭება ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მეცნიერების დღესთან (10 ნოემბერი) დაკავშირებით.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები.

კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და აკადემიის საექსპერტო კომისია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ გამოცემული არაუგვიანეს 6 თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა პრემია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით „.......................................... სახელობის პრემიის მოსაპოვებლად"):

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების და ქვეყნის განვითარებისათვის;

ბ) გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად შრომათა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

**მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.**

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ.: 99-00-52.**

***საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია***

ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, არმაზ სანებლიძე თანაუგრძნობენ გიორგი მამაცაშვილს გამზრდელი დეიდის, ქალბატონ
შოშიას
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მანანა კვარცხავა, შვილები დავითი, ირაკლი, და მაია, სიმამრი ლეო კვარცხავა, ბიძაშვილები ინგა, ლამარა, რუსუდან, ხათუნა, ვახტანგ კერესელიძეები, დეიდაშვილები დავით, ლალი ფავლენიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გია დავითის ძე კერესელიძე
პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. რიგის ქ. №16. გამოსვენება 10 V, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

ვაჟა ბარათაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი
გიორგი (გია) კერესელიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ქიმიური მრეწველობისა და მონათესავე დარგების მშრომელთა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება
გია კერესელიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები გოგი ციბაძე და რობერტ ურჯუმელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გია კერესელიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



მამა ვიტალი გრძელიშვილი, დედა ნინო თათარაშვილი, მეუღლე ქეთინო, შვილი ნინო, ძმა თამაზი, მამიდა მარინა, მამიდაშვილები მიშიკო და ეკა ხუცურაულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვასიკო გრძელიშვილი
პანაშვიდი 9, 10 V, 17 სთ. გამოსვენება 11 V, 14 სთ. მისამართი: ქ. მცხეთა, ფარნავაზის მოედანი.

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ნიკოლოზ მაღლაფერიძე (რომელსაც დღეს 106 წელი შეუსრულდებოდაძ თავის ოჯახთან ერთად. სურათი გადაღებულია 1952 წელს.

მოგვაწოდა ჯუმბერ მაღლაფერიძემ.

## გვეხმაურებიან

# შევეწეოდეთ საღვთო საქმეებს

**თქვენს გაზეთში გავეცანი ბატონ დიდიმ სტურუას წერილს „მრევლი და ეკლესია“ (11/IV, 08 წ.ძ, რომელმაც ბევრ რამაზე დამაფიქრა. ქართულ ეკლესიას საუკუნეების მანძილზე ათასგვარი ჭირ-ვარამი გადახდენია თავს, გარე თუ შინაური მტრებისგან. ეკლესია კი ქართველი კაცისთვის ყოველთვის იყო ერთადერთი სულიერი ნავსაყუდელი.**



ნუთუ აღარ დადგა დრო, 21-ე საუკუნეში მაინც, რომ ეკლესია განთავისუფლდეს ყოველგვარი გავლენისგან და გახდეს ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი (ძალზე უსიამოვნო სანახავი იყო, როცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა საკმაოდ დიდხანს ისაუბრა თავისი ქვეყნის ყოფილ და ამჟამინდელ პრეზიდენტებზეძ.

რაა საჭირო იმისათვის, ქართული ეკლესია რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდეს? როგორადაც უხერხული არ უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი, ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, სახსრები სჭირდება. შველას ითხოვენ დანგრეული ტაძრები, უძვირფასესი ფრესკები, გაღატაკებული, სასოწარკვეთილი ადამიანები... ყველაფერს ვერ ჩამოთვლი.

ამიტომ მოკრძალებით მივმართავ მომავალ პარლამენტს: ყურად იღოს ჩემი მოგვარის წინადადება, დარწმუნებული ვარ, ყველა ქართველი ბედნიერად მიიჩნევს თავს, თუ თავისი შემოსავლის 1 პროცენტი მოხმარდება საღვთო საქმეებს.

**რობერტ სტურუა,**
**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.**

## ინფორმაცია

# გამოძახებულმა ექიმებმა სპეციალური ბარათები უნდა შეავსონ

**თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს გამოძახებისას სპეციალური ბარათების შევსება მოუწევთ.**

„033“-ის ახლად დანიშნული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გამოძახებაზე მისულმა ექიმებმა სპეციალური ბარათები უნდა შეავსონ, სადაც ჩაიწერება პაციენტისთვის ჰოსპიტალამდე გაწეული სამედიცინო დახმარება. ბარათის კოპირებული ფურცელი პაციენტთან რჩება, ხოლო ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში – სტაციონარის მორიგე ექიმთან.



როგორც „033“-ში აცხადებენ, ბარათის კოპირებული ფურცლის დატოვება ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადასა და ოჯახისა თუ პოლიკლინიკის ექიმს შორის, ასევე, ინფორმაციით უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებას გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ.

ინტერპრესნიუსი

## კრიმინალი

# დააკავეს ნარკოდილერები და ყაჩაღი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის ძებნილი ორი პირი და ყაჩაღობისათვის ძებნილი ერთი პირი დააკავეს.**



როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, ყაჩაღობისთვის ძებნილი 45 წლის ზურაბ ნარიმანიძე თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

ნარკოტიკების შენახვა-გასაღებისთვის ძებნილები 29 წლის ზაზა ბენდელიანი და 26 წლის გიორგი კვერნაძე კი შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

იყიდება!
5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.
ფასი შეთანხმებით.

## ანეკდოტები

სტუდენტმა ლექციაზე დაიგვიანა.
– ახალგაზრდავ, შეიძლება, ვიკითხოთ თქვენი დაგვიანების მიზეზი? – ირონიული ღიმილით ეუბნება პროფესორი.
– მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, ძილს თავი ვერ დავაღწიე.
– ღმერთო ჩემო, როგორ, თქვენ სახლშიც გძინავთ?

* * *



– გუშინ ძაღლმა მიკბინა.
– ალბათ ცოფიანი იყო, არა?
– არა, რას ამბობ, გიჟი კი არა ვარ, ცოფიანი ძაღლი კუდით ვათრიო.

* * *

ტიპს ღამის სამ საათზე გაეღვიძა და, რაკი თავი კარგად ვერ იგრძნო, ექიმი გამოიძახა.
ექიმმა იგი გულდასმით გასინჯა, მერე ხელი ჩაიქნია და უთხრა:
– თუ შეიძლება, დაუძახეთ თქვენს შვილებს და ადვოკატიც და ნოტარიუსიც მოიწვიეთ.
– ექიმო, ნუთუ ასე ცუდადაა ჩემი საქმე?
– არა, უბრალოდ, არ მინდა ვიყო ის ერთადერთი იდიოტი, ვისაც ტყუილუბრალოდ აღვიძებენ შუაღამისას.

* * *

დოღზე მისული ორი ქალი მსჯელობს, რომელ ნომერ ცხენზე დადონ ფსონი.
– რომელ ნომერ ლიფს ატარებ? – ეკითხება ერთი.
– სამს.
– მე – ოთხს. ჰოდა, შვიდ ნომერზე დავდოთ.
დადეს და მოიგეს.
კაცებიც იგივე დღეში არიან. ვერ აურჩევიათ ნომერი.
– ღამით რამდენჯერ ახერხებ ცოლთან?
– ოთხჯერ.
– მე – ხუთჯერ. დავდოთ 9 ნომერზე!
დადეს.
ფინიშთან პირველი მივიდა ორი ნომერი ცხენი.
მორალი: საჭირო არ არის უსაფუძვლო ტრაბახი.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07
ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.